

~~153836~~

2

153836

საქათვების მუზეუმის სამართვის ფილიალი
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

წმინდა გერმანიული და ბაზეტი. კულტურული ძეგლი. ბ. ბათაშვილი.
Ин-ეр языка, истории и матер. культуры им. академика Н. Я. Марра.

არა გამოცემა

მასალები

სამართველოს და კავკასიის ისტორიისთვის

МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

ნავათი II ვЫПУСК

630.3060
1937

ენის, ისტორიისა და მათემ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. გარებ სახ.
ИН-Т ЯЗЫКА, ИСТОРИИ и МАТЕР. КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

საქართველო
D. S. M. R. A. T. I. T.

მ ა ს კ ლ ი ტ ი

საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

TO ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

ნაცვლი II ВЫПУСК

კ ს ბ ე
2
81.



სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა
ტ ბ ი ლ ი ს ი

ტ ბ ი ლ ი ს ი

1 9 3 3

$g(c_{211} + c_{41})](001)$

გვიმპერატორის მიერ კულტურული მეცნიერებების
სამსახურთან და ფინანსთან კავშირის განკარგულებით

Напечатано по распоряжению Грузинского Филиала АН СССР

რელ. ს. ვანაშვილი

ტექნიკ. შ. ჭუმბურიძე

მთავლილი № კ-636 შეკვ. № 349 ტირაჟი 1.000
სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის სტამბა,
აკ. წერეთლის ქუჩა № 5-7, ტელეფ. № 3-74-66

ପାଦାରୀ କୃତ୍ୟା

«କଞ୍ଚାଲୁରି» ଏବଂ «ଧାରାନ୍ତୁରି»

I

1923 წელს, სამეგრელოში მოგზაურობის დროს, მეგრულ ენა-
ზე მუშაობის პროცესში, შემთხვევა მომეცა ჩემი უშუალო დაკვირ-
ვების ობიექტად გამხდარიყო ზემო-სამეგრელოს მთიანი ნაწილი,
ეგრედწოდებული ლაკადა, რომლის საქმაოდ მნიშვნელოვან პუნქტი
(როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად) აღმოსავლეთის მხრით
წარმოადგენს სოფ. კურჩუ. ადგილობრივმა გლეხმა, ოობმოცდაშეტი
წლის მოხუცმა, ქ. ქუთარიამ, მიამბო, სხვათა შორის, ერთი ეძნილი
ბატონიყმობის დროიდან: საკითხი ეხებოდა ერთ-ერთი მებატონის
(გვარად დადიანის) მიერ თავისი ყმის, გიო ბერულას, დასჯას „ურჩო-
ბისათვის“, რაც გამოიხატებოდა თურმე იმაში, რომ ხსენებულ ყმა
კატეგორიული უარი განუცხადებია მაზე ახლაუ დაკისრებულ მოუ-
ლოდნელ ბეგარაზე—მთიდან საზამთროდ შეშის ჩამოტანაზე. უარის
თქმა გამოწვეული იყო თურმე იმ მოსაზრებით, რომ ამაზე თანხმობის
გამოცხადებით აღიიღად შეიძლებოდა ასეთი ჰალდებულება საშეილი-
შვილოდ გადასცემოდა შთამომავლობას.

ხსენებული შათქვამი, ქ. ქუთარია, როგორც თვითმხილველი
და თანდამხდური ამბობს:

„ . . . ხაჯალური უჯოხოდეს დო თინა ქიგედვეს გიოს კა-
სერს. ართი თუთას ქიგედვედ თინა. ხაჯალური ჯოხოდგ რკინაშ ჯაჭ-
ვის; ჯაჭვი ჯგურა რდგ თხის-ხუთი კოჩიში ოლალარი რკინა. კედა
ყი გითოჭეკირილი რდგ დო თექ გაითიღონდეს ართი დუს, ნამუსით
რკინაში რგოლი უღუდუ. თი რგოლს გალე დირეს ქიკლურლებანდეს
დო მაჟირა დუდი კოს კესერს გეძგდგ დო კგლერი რდგ კელთ.
სორგვდგ დიხას უკულნეშის“.

თარგმანი: — „ხაჯალურს“ ეძახდნენ და ის დაადვეს გიოს კა-
სერზე. ერთ თვეს ედვა ის. ხაჯალური ერქვა რკინის ჯაჭვს; ჯაჭვი-
ვით იყო გაჭედილი ოთხი-ხუთი კაცის სატარებელი რკინა. კედელი
მაღლა გამოჭრილი იყო და იქ გაიტანდნენ ერთ თავს, რომელსაც
ჰქონდა რკინისავე რგოლი. ამ რგოლს გარედან დირეს გაუყრიდნენ
ხოლმე და მეორე თავი კაცს კისერზე ედვა, — დაკეტილი იყო კლ-
ტით. ეყარა მიწაზე შემდეგ“.

თხობის ამ მოტანილ ნაშევეტიდან ირკვევა ორი გარემოება:
პირველი — ხაჯალური არის რკინის ჯაჭვი, როგორც ეს ხაზგასმით.

აქვს აღნიშნული მათქვამს—და გამოყენებულია ყმების დასასჯელი იარაღად: მეორე—ხაჯალური ყოფილა სპეციალური კონსტრუქციის, აღამიანის კისერზე დასადები, მძიმე ჯაჭვი.

ქვევით, გამოკვლევს სათანადო ადგილას, მე ვუჩვენებ, რომ სწორედ ხსნებულ სოფლიდან (კურჩულან) ასეთივე დადიანისეული ჯაჭვი 1908 წლის თარიღით ჩანს ჩამოტანილი თედო სახოკიას მიერ, სიძეველთა მუშებუში გადასაცემად, ხოლო ახლა კი ჩვენთვის იბა-დება ერთი ძირითადი საკითხი: ხაჯალური, როგორც აღამიანთა დასასჯელად ხმარებული, კისერზე შემოსაკრავი სპეციალური კონსტრუქციის ჯაჭვი, იყო თუ არა გავრცელებული, კერძოდ სამეგრელოსა და საქართველოს რომელიმე ნაშილში ბატონიშვილის დროს, ან და მისი გადავარდნის ახლო ხანებში, და ენობრივ სინამდვილეში თუ შერინშება მისი აჩვებობა ბატონიშვილის მოძევნო მანძილზე, თვით უახლოეს ეპოქაშიდე?

ამ ძირითადი საკითხების გასარევევად ჩვენ უნდა მოვიშველით სამი სხვადასხვა დარგის ფაქტები:

I. სალიტერატურო ძეგლები, II. მატერიალური კულტურის ნაშთები და III. ცოცხალი ენის მასალები.

I. სალიტერატურო ძეგლები.

მე ქვემოთ შევხები ერთ-ერთ უცხოურ სალიტერატურო ძეგლს, სადაც ლაპარაკია აღამიანის დასაპატიმრებელ ჯაჭვზე, რომელთანაც დაკავშირებული უნდა იყოს არა მარტო ხაჯალურის ტიბის იარალები და მაშინ დაწვრილებით გავარჩევთ მსგავს ჯაჭვების გენეზისის საკითხს, ხოლო აქ მოვიტანოთ სათანადო ადგილები უცხოურ, თუ ადგილობრივ ენებზე შესრულებულ სალიტერატურო ძეგლებიდან:

1. როგორც ცნობილია, მე-17-ე საუკუნის პირველ ნახევარში (და შემდეგაც) საქართველოს ფარგლებში ხანგრძლივად უცხოვრიათ იტალიიდან მოვლინებულ კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც ცდილობდნენ ადგილობრივ მკვიდრთათვის ჩაენერგათ კათოლიკური ეკლესიის უპირატესობანი მართლმადიდებლობის წინაშე და ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ხალხის დაბალ ფენებს, რათა მათში დაემსახურებიათ სიყვარული და პატივისცემა, რომ შემდეგ, შედარებით, ადგილი ყოფილობით რომის პაპის გავლენის დამკერიდრება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ამ მიზნით მოვლინებულ მისიონერებს ჰქონდათ სპეციალური დაგალება, უხდებოდათ ხალხთა ყოველმხრივი შესწავლა: იქნებოდა ის ზერჩეულება, პოლიტიკური შესწყობილება, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ვითარება, სამეურნეო ორგანიზაცია, ენისა და კულტურის საკითხები, თუ სხვა. მათ შორის არა იშვიათად აღმოჩნდებოდა ხოლმე მისიო-

ნერი მწერალი, მხატვარი და ასე შემდეგ. ცნობილია, მაგალითად, რომ ამ მისიონერთა რიგებზე ერთა ერთერთი თვალსაჩინო მწერალი — არქანჯელო ლამბერტი, რომლის კალამს ეკუთხნის თავისი დროისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი „სამეგრელოს აღწერა“. ხსნებული მწერალი დიდი ხნით დარჩენილა საქართველოში საერთოდ, ხოლო კერძოდ სამეგრელოს ფარგლებში მისი მოღვაწეობა უდრის 18 წელიწადს. ბუნებრივია, რომ ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი ცხოვრებით დაინტერესებული მწერალი - მისიონერი ადვილად შეისწავლიდა მკეიდრთა შორის არსებულ სოციალ-ეკონომიკურსა და კულტურულ ვითარებას, თვით უმნიშვნელო დეტალებსაც კი. თავის ნაშრომის ერთერთ თავში, რომელიც ეხება საპყრობილისა და საერთოდ ადამიანთა დაპატიმრების წესებს, არქანჯელო ლამბერტი წერს:

„როცა (სამეგრელოს, მ. ხ.) მთავარი მოინდომებს ვისიმე დასჭას, ბრძანებს, რომ მას ყელზე წამოაცით ჩაინის საყელო დიდისა და მძიმე ჯაჭვითო და ამ სახით ჩააბარეთ დარაჯვსო... ტუსალებისა, დარაჯებისა და პოლიციელის მოვალეობას ერთად ასრულებენ ისინი, ვისაც ჩააბარებული აქვთ მწევარ-მექებართა ყურის გდება. მეგრულად ამათ ჰქვიან მაჯოლომრი. ეს დარაჯები ერთსა და იმავე სახლში ომწყვდევენ ჯაჭვით დაბმულებს, ტუსალებსა და ძალლებს, რომელიც ლამეს ერთად ატარებენ ერთსა და იმავე უწმინდურობაში და საშინელ ჰაერში. ეშირად მათი ჯაჭვები ერთმანეთს გადაებმებიან ხოლმე. როცა შიშობენ, ტუსალები ლამე არ გაიქცენ, ყელს გარდა კიდევ ფეხებზე დაადებდენ მეტად მძიმე ბორკილს... ჯაჭვით დაბმას ვერავინ ვერ წაუვა, რაც უნდა დიდებული. თავადი იყოს. როცა მთავარი გაურისხდება ვისმე, ბრძანებს იმის დაჭრას და ჯაჭვით დაბმას, ეგრე დაბმულს ჩააბარებს მაჯოლომს, რომელიც ატარებს მას იქით-აქეთ; ეს კი არის, რომ კეთილშობილებს უფრო სუბუქ ჯაჭვს ჩამოკიდებენ და გარდა ამისა ნებას აძლევენ, რომ ცხენით იარონ; რის ნებაც დაბალ ხალხს არა აქვს“¹.

ეს კრცელი ამონაწერი ეჭვ მიუტანლად ამტკიცებს, რომ ყელზე შემოსაკრავი მძიმე ჯაჭვების ადამიანთა დასასჯელად გამოყენების ფაქტი დადასტურებულია, მაშასადამე, XVII საუკუნის პირველ ნახევარში, სამეგრელოში. მაგრამ, ეს ეხება მხოლოდ მართლმსაჯულებას, ან იქნებ იურიდიული ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, ხოლო თავადებს, ან კერძო პირებს შეიძლება არც კი

¹ არქანჯელო ლამბერტი. „სამეგრელოს აღწერა“ იტალიურით თარგმანი აღექსანდრე ჭყონიასი. ტფილისი; 1901 წ. გვ. 86—87.

აქვს აღნიშნული მათქვამს—და გამოყენებულია ყმების დასასჯელ იარაღად: მეორე—ხაჯალური ყოფილა სპეციალური კონსტრუქციის, აღამიანის კისერზე დასადები, მძიმე ჯაჭვი.

ქვევით, გამოკვლევის სათანადო ადგილას, მე ვუჩვენებ; რომ სწორედ ხსნებულ სოფლიდან (კურზულან) ასეთივე დადიანისეული ჯაჭვი 1908 წლის თარიღით ჩანს ჩამოტანილი თელო სახოვიას მიერ, სიძველეთა მუხუმში გადასაცემად, ხოლო ახლა კი ჩვენთვის იბადება ერთი ძირითადი საკითხი: ხაჯალური, როგორც ადამიანთა დასასჯელად ხარებული, კისერზე შემოსაკრავი სპეციალური კონსტრუქციის ჯაჭვი, იყო თუ არა გავრცელებული, კერძოდ სამეგრელოსა და საერთოდ საქართველოს რომელიმე ნაწილში ბატონყმობის დროს, ან და მისი გადავარდნის ახლო ხანებში, და ენობრივ სინამდვილეში თუ შერწინება მისი ორსებობა ბატონყმობის მოდევნო მანძილზე, თვით უახლოეს ეპოქაშიდე?

ამ ძირითადი საკითხების გასარკვევად ჩვენ უნდა მოვიშველით საში სხვადასხვა დარგის ფაქტები:

I. სალიტერატურო ძეგლები, II. მატერიალური კულტურის ნაშთები და III. ცოკებალი ენის მასალები.

I. სალიტერატურო ძეგლები.

მე ქვემოთ შევხები ერთ-ერთ უცხოურ სალიტერატურო ძეგლს, სადაც ლაპარაკია ადამიანის დასაპატიმრებელ ჯაჭვზე, რომელთანაც დააგვშირებული უნდა იყოს არა მარტო ხაჯალურის ტიპის იარაღები და მაშინ დაწვერილებით გავარჩევთ მსგავს ჯაჭვების გენეზისის საკითხს, ხოლო აქ მოვიტანოთ სათანადო ადგილები უცხოურ, თუ ადგილობრივ ენებზე შესრულებულ სალიტერატურო ძეგლებიდან:

1. როგორც ცნობილია, მე-17-ე საუკუნის პირველ ნახევარში (და შემდეგაც) საქართველოს ფარგლებში ხანგრძლივად უცხოვრიათ იტალიიდან მოვლინებულ კათოლიკე შისიონერებს, რომლებიც ცდილობდნენ ადგილობრივ მკვიდრთათვის ჩანარებათ კათოლიკი ეკლესიის უპირატესობანი მართლმადიდგმობის წინაშე და ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ხალხის დაბალფენებს, რათა მათში დაემსახურებით სიყვარული და პატივისცემა, რომ შემდეგ, შედარებით, ადვილი ყოფილიყო რომის პაპის გავლენის დამკვიდრება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ამ მიზნით მოვლინებულ მისიონერებს ჰქონდათ სპეციალური დავალება, უხდებოდათ ხალხთა ყოველმხრივი შესწავლა: იქნებოდა ის ზნერვეულება, პოლიტიკური წესწყობილება, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ვითარება, სამეურნეო ორგანიზაცია, ენისა და კულტურის საკითხები, თუ სხვა. მათ შორის არა იშვიათად აღმოჩნდებოდა ხოლმე მისიო-

ნერი მწერალი, მხატვარი და ასე შემდეგ. ცნობილია, მაგალითად, რომ ამ მისიონერთა რიგებში ერთა ერთერთი თვალსაჩინო მწერალი — არქანჯელო ლამბერტი, რომლის კალამს ეკუთვნის თავისი დროისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი „სამეგრელოს აღწერა“. ხსენებული მწერალი დიდი ხნით დარჩენილა საქართველოში საერთოდ, ხოლო კერძოდ სამეგრელოს ფარგლებში მასი მოღვაწეობა უდრის 18 წელიწადს. ბონებრივია, რომ ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი ცხოვრებით დაინტერესებული მწერალი — მისიონერი ადვილად შეისწავლიდა მყვიდრთა შორის არსებულ სოციალ-ეკონომიკურსა და კულტურულ ვითარებას, თვით უმნიშვნელო დეტალებსაც კი. თავის ნაშრომის ერთერთ თავში, რომელიც ეხება საპურობილისა და საერთოდ ადამიანთა დაპატიმრების წესებს, არქანჯელო ლამბერტი წერს:

„როცა (სამეგრელოს, მ. ხ.) მთავარი მოინდომებს ვისიმე დასჯას, ბრძანებს, რომ მას ყელზე წამოაცვით რეინის საყელო დიდისა და მძიმე ჯაჭვით და ამ სახით ჩაბარეთ დარაჯვო... ტუსალებისა, დარაჯებისა და პოლიციელის მოვალეობას ერთად ასრულებენ ისინი, ვისაც ჩაბარებული აქვთ მწევარ-შექებართა ყურის გდება. მეგრულად ამათ ჰქვიან მაჯორორი. ეს დარაჯები ერთსა და იმავე სახლში ამწყვდევენ ჯაჭვით დაბმულებს, ტუსალებსა და ძალებს, რომელიც ღამეს ერთად ატარებენ ერთსა და იმავე უწმინდურობაში და საშინელ ჰაერში. ხშირად მათი ჯაჭვები ერთმანეთს გადაებმებიან ხოლმე. როცა შიშობენ, ტუსალები ღამე არ გაიქცენო, ყელს გარდა კიდევ ფეხებზე დაადგებდენ მეტად მძიმე ბორკილს... ჯაჭვით დაბმას ვერავინ ვერ წაუვა, რაც უნდა დიდებული თავადი იყოს. როცა მთავარი გაურისხდება ვისმე, ბრძანებს იმის დაჭერას და ჯაჭვით დაბმას, ეგრე დაბმულს ჩაბარებს მაჯორორს, რომელიც ატარებს მას იქით-აქეთ; ეს კი არის, რომ კეთილშობილებს უფრო სუბუქ ჯაჭვს ჩამოკიდებენ და გარდა ამისა ნებას აძლევენ, რომ ცხენით იარონ; რის ნებაც დაბალ ხალხს არა აქვს“¹.

ეს ვრცელი ამონაწერი ეჭვ მიუტანლად ამტკიცებს, რომ ყელზე შემოსაკრავი მძიმე ჯაჭვების ადამიანთა დასასჯელად გამოყენების ფაქტი დადასტურებულია, მაშასადამე, XVII საუკუნის. პირველ ნახევარში, სამეგრელოში. მაგრამ, ეს ეხება მხოლოდ მართლმაჯულებას, ან იქნებ იურიდიული ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, ხოლო თავადებს, ან კერძო პირებს შეიძლება არც კი

¹ არქანჯელო ლამბერტი. „სამეგრელოს აღწერა“ იტალიურით თარგმანი ალექსანდრე ჭურინისი. ტფილისი; 1901 წ. გვ. 86—87.

აქვს აღნიშნული მათქვამს—და გამოყენებულია ყმების დასასჯელიარად: მეორე—ხაჯალური ყოფილა სპეციალური კონსტრუქციის, ადამიანის კისერზე დასადები, მძიმე ჯაჭვი.

ქვევით, გამოკვლევის სათანადო ადგილას, მე ვუჩვენებ, რომ სწორედ ხსნებულ სოფლიდან (კურზუდან) ასეთივე დადიანისეული ჯაჭვი 1908 წლის თარიღით ჩანს ჩამოტანილი თელო სახოვის მიერ, სიძეველეთა მუხეუშში გადასაცემად, ხოლო ახლა კი ჩვენთვის იბადება ერთი ძირითადი საკითხი: ხაჯალური, როგორც ადამიანთა დასასჯელად ხმარებული, კისერზე შემოსაკრავი სპეციალური კონსტრუქციის ჯაჭვი, იყო თუ არა გაერცელებული, კერძოდ სამეგრელოსა და საერთოდ საქართველოს რომელიმე ნაწილში ბატონიშვილის დროს, ან და მისი გადავარდნის ახლო ხანებში, და ენობრივ სინამდვილეში თუ შეინიშნება მისი არსებობა ბატონიშვილის მომდევნო მანძილზე, თვით უახლოეს ეპოქამდე?

ამ ძირითადი საკითხების გასარკვევად ჩვენ უნდა მოვიშველიოთ სამი სხვადასხვა დარგის ფაქტები:

I. სალიტერატურო ძეგლები, II. მატერიალური კულტურის ნაშთები და III. ცოკხალი ენის მასალები.

I. სალიტერატურო ძეგლები.

მე ქვემოთ შევეხები ერთ-ერთ უცხოურ სალიტერატურო ძეგლს, სადაც ლაპარაკია ადამიანის დასაპატიმრებელ ჯაჭვზე, რომელთანაც დაკავშირებული უნდა იყოს არა მარტო ხაჯალურის ტიპის იარაღები და მაშინ დაწვრილებით გავაჩიტეთ მსგავს ჯაჭვების გენეზისის საკითხს, ხოლო აქ მოვიტანოთ სათანადო ადგილები უცხოურ, თუ ადგილობრივ ენებზე შესრულებულ სალიტერატურო ძეგლებიდან:

1. როგორც ცნობილია, მე-17-ე საუკუნის პირველ ნახევარში (და შემდეგაც) საქართველოს ფარგლებში ხანგრძლივად უცხოვრით იტალიიდან მოვლინებულ კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც ცდილობდნენ ადგილობრივ მცენიდრთათვის ჩაენერგათ კათოლიკური ეკლესიის უპირატესობანი მართლმადიდებლობის წინაშე და ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ხალხის დაბალ ფენებს, რათა მათში დაემსახურებიათ სიყვარული და ბატივისცემა, რომ შემდეგ, შედარებით, ადვილი ყოფილიყო რომის პაპის გავლენის დამკიდრება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ამ მიზნით მოვლინებულ მისიონერებს ჰქონდათ სპეციალური დავალება, უხდებოდათ ხალხთა ყოველმხრივი შესწავლა: იქნებოდა ის ზნეჩვეულება, პოლიტიკური წესყობილება, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ვითარება, სამეურნეო ორგანიზაცია, ენისა და კულტურის საკითხები, თუ სხვა. მათ შორის არა იშვიათად აღმოჩნდებოდა ხოლმე მისიო-

ნერი მწერალი, მხატვარი და ასე შემდეგ. ცნობილია, მაგალითად, რომ ამ მისონერთა რიგებში ერთა ერთერთი თვალსაჩინო მწერალი — არქანჯელი ლამბერტი, რომლის კალაშს ეკუთვნის თავისი დროისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი „სამეგრელოს აღწერა“. ხსენებული მწერალი დიდი ხნით დარჩენილა საქართველოში საერთოდ, ხოლო კერძოდ სამეგრელოს ფარგლებში მისი მრღვაწეობა უდრის 18 წელიწადს. ბუნებრივია, რომ ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი ცხოვრებით დაინტერესებული მწერალი - მისონერი ადვილად შეისწავლიდა მევიღრთა შორის არსებულ სოციალ-ეკონომიურსა და კულტურულ ვითარებას, თვით უმნიშვნელო დეტალებსაც კი. თავის ნაშრომის ერთერთ თავში, რომელიც ეხება საპყრობილისა და საერთოდ ადამიანთა დაპატიმრების წესებს, არქანჯერლო ლამბერტი წერს:

„როცა (სამეგრელოს, მ. ხ.) მთავარი მოინდომებს ვისიმე დასჯას, ბრძანებს, რომ მას ყელზე წამოაცით რეინის საყელო დიდსა და მძიმე ჯაჭვით და ამ სახით ჩაბარეთ დარაჯსო... ტუსალებისა, დარაჯებისა და პოლიციელის მოვალეობას ერთად ასრულებენ ისინი, ვისაც ჩაბარებული აქვთ მწევარ-მექებართა ყურის გდება. მეგრულად ამათ ჰქვიან მაჯოლორი. ეს დარაჯები ერთსა და იმავე სახლში ამწყვდევენ ჯაჭვით დაბმულებს, ტუსალებსა და ძალლებს, რომელიც ლამეს ერთად ატარებენ. ერთსა და იმავე უწმინდეურობაში და საშინელ ჰაერში. ხშირად მათი ჯაჭვები ერთმანეთს გადაებმებიან ხოლმე. როცა ზოშობენ, ტუსალები ლამე არ გაიქცინო, ყელს გარდა კიდევ ფეხებზე დაადებდენ მეტად მძიმე ბორკილს... ჯაჭვით დაბმას ვერავინ ვერ წაუვა, რაც უნდა დიდებული თავადი იყოს. როცა მთავარი გაურისხდება ვისმე, ბრძანებს იმის დაჭრას და ჯაჭვით დაბმას, ეგრე დაბმულს ჩაბარებს მაჯოლორს, რომელიც ატარებს მას იქით-აქეთ; ეს კი არის, რომ კეთილშობილებს უფრო სუბუქ ჯაჭვს ჩამოჟიდებენ და გარდა ამისა ნებას აძლევენ, რომ ცხენით იარონ; რის ნებაც დაბალ ხალს არა აქვს“¹.

ეს ვრცელი ამონაწერი ეჭვ მიუტანდად ამტკიცებს, რომ ყელზე შემოსაკრავი მძიმე ჯაჭვების ადამიანთა დასასჯელად გამოიყენა ბის ფაქტი დადასტურებულია, მაშასადამე, XVII საუკუნის პირველ ნახევარში, სამეგრელოში. მაგრამ, ეს ეხება მხოლოდ მართლმაჯულებას, ან იქნებ იურადიული ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, ხოლო თავადებს, ან კერძო პირებს შეიძლება არც კი

¹ არქანჯელი ლამბერტი. „სამეგრელოს აღწერა“ იტალიურით თარგმანი აღექსანდრე ჭყანისის. ტფილის; 1901 წ. გვ. 86—87.

ჰქონდათ უფლება, თუნდაც იმავე საუკუნეში, ანალოგიური ჯაჭვები შეებათ ყელზე და ისე დაეპატიმრებიათ აღამიანები.

რომ კერძო პიროვნებასაც შეეძლო გარკვეულ შემთხვევებში იმავე საშუალებით (ჯაჭვების მეოხებით) დაეტყვევებია ადამიანი, ამას ამტკიცებს მეორე იტალიელი მისიონერის, ქრისტეფორე კასტელის სურათი, რომლის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი მატერიალური კულტურის ნაშთებთან დაკავშირებით.

2. მეორე სალიტერატურო ძეგლი ფეოდალურივე ეპოქიდან მომდინარე, რომელშიაც ლაპარაკია დამნაშავის ჯაჭვით დაბმაზე და ამ უკანასკნელის სპეციალურ სახელწოდებად დადასტურებულია ჩვენთვის საინტერესო ტერმინი — იგივე, რაც ხმარებული აქვს მათქვამბერულს, მხოლოდ მისან ცოტაოდენი განსხვავებული სახით, — ეს ძეგლი არის სპარსულიდან თარგმნილი იგავ-არაქთა განთქმული კრებულის „ქილილა და დამანას“ ერთერთი ვერსია (C)¹, ცნობილ ლექსიკოგრაფ სულხან-საბა რაბელიანის რედაქციით მოცემული. საძიებელი ტერმინი ხმარებულია ძეგლის იმ აღილას, სადაც ლაპარაკია ლომსა და დედა მისს შორის დამანას საჭირელისა და მისი საპურო-ზილეში გაგზავნის შესახებ. მოვიტანოთ სათანადო ამონაწერი:

როდესაც ლომს ყოველ მსრიდან აუგი ესმის დამანს მისამართით და ყველა ცუდად იხსენიებს მას, მაშინ აღეძვრის ეჭვები, იქნებ უმართებულო იყოს ამდენი ძაგება ეგზომ მარჯვე და „ხელგა-მომავალი“ კარისკაცისკენ მიმართულიო და თავისი აზრების სი-ლუსტრაციოდ მოყავს იგავი სამი მეტურნე ამხანაგის. შესახებ, რის დამთავრების შემდეგ გარკვევით სეამს საკითხს:

„არამც დამანას საჭმეცა ესრე შურით ამდგარიყოს?

ლომის დედამ უთხრა:

მე ამ კარის კაცთაგან მეშურენეობის გზა არ მინახაეს და ამ სახისა არცა ვისგან რა ეჭვი შემსვლია. ნუ თუ ესე იყოს, მის მოკვ-ლაზედ ყოველნივე შეთქმულ იყვნენ და ხელმწიფისა შესმენისათვის ექმნასთ, თვარამ, მისი გაცუდებითა სარგებელი არავის მიუცემის.

ლომის უთხრა:

— მე ამა საქმისა ესრე მწალიან: დამანას გაცუდებისა საქმესა არ აფეხურდე და არცა სხვანი იგი მაზედ ჩიტის წყალობისა-თვის დაქიშებული იყენენ. მე სხვათა სიამონისათვის ლვთის თვალი არ განვიშორო. ვირემ მისისა საქმისა გამოძიებასა არ აღვასრულებ, მე მისის მოკვლის ბრალსა არ დავიდებ. შეთურბას საქმესა ზედა რომე

¹ იხ. ალ. ბარაშიძე, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, გვ. 216 და შემდ.

ავტერდი და უგოდენ სინანულად შემექნა, აწ ეგრე რადღა ვყო? უმჯობესს არის, შეუტყობლად და გამოუკვლეველად ხელ-გამომაფლი და გამოჩენილი კაცი არ წავახდინო და ვიზემდის სიმართლის პირი ეჭვისა ფარდაგას უკან არა ვნახო, არა ბრძანება მაზედ არ დაესკვნა და ამა სიტყვის თარგმანება, რომელი სუჟეტესო სარგებელია და სიშინის ზნითა შობილი, რომელი დიდა ბრძენსა უტქვამს, შას არ გარდავცილდე.

უტქვამს შრიჩობლედი:

თუცა რისხვა მოგერიოს, შემცოდისა წყრომა საცხე, დაითმინე გონებითა, ბორგვის ცეცხლი სწრაფად ავსე. ადვილია გასატეხლად ლალი თლილი, ფერად ვარდი, მაგრამ მისი გამოულება, არ იქნების, რა დასწყნარდი: ჩქარად ხმლისა ამოღება თუცა ბრძენმა ტაუწუნოს, სინანული რაღას არგებს, ან სიწყნარე ვინ ურწმუნოს?

ლომმა და დედამისმა საუბარი დასრულეს და თეისთა საღვომთა წავილნენ; დამანა საპყრობილედ შეაყენეს და ხალა ჯაური დაადვეს: ქილილამ რა სკა, ძმობილობის ცეცხლმა გული დასწევა და მეგობრობისა სიყვარულმა მისად ნახვად გაამგზავრა. რა საპყრობილედ ეშვიდა (sic), ოდეს დამანა დაინახა, მისი თვალისა ლრუბლითა ცრემლისა წვიმამა ცვარვა დაიწყო და უთხრა:

— ძმაო, ამა ჭირისა უფალი და გატანჯული ვითა გიხილო, ანუ ამას იქით ჩემსა სიცოცხლესა რა გემოლა მოეცემის?

უთხრა ჭაირი:

უშენოდ სული მიდგანან, როგორ ვსცოცხალ ვარ და ვითა, თუ ყოლე გვერდისა არ მიჯდე სიტყვითა კარგ სადავითა. გეთქვა, უჩემდ გაძელო მტერთანა არ სადავითა. და მეფობა მექმნას, მონად ვდგე — არ თქმულა ეს იგავითა.

დამანამაცა ტირილი შექნა და თქვა ლექსი:

მოსურნის მოყვრის სიშორე ჩემგან ვით გაიძლებისა, ლვიძლ დაკოდლი, გულწულული, შორს მყოფი მისის ხლებისა. ესე ზრუნვა ჭირი და ნავლელი და საპყრობილისა მძიმე ჯაჭვი მე არარად მინანს, ამად რომე გაყრისა კვამლი უნდა შემომზოლევდეს და მოშორვებისა ცეცხლითა ვდნებოდე¹.

როგორც ცნობილია, არსებობს „ქილილა და დამანას“ კიდევ ორი გერსია: A ეგრისია და B ვერსია. იმავე ძეგლის A ვერსიის მიხედვით საონადო ადგილი იყითხება შემდეგნაირად:

¹ ქალილა და დამანა, წ. ქ. კოლექციის № 31, გვ. 128.

..... ვექობ დამანას საქმეც ქიშპობით და მემშურნეობით
იყოსო“

და ლომის დედამ მოახსენა:

— მე თქვენის კარის გამრიგეში ქიშპობა და მემშურნეობა
არვისთვის შემიტცნევია (sic). ნურც თქვენ დაიჯერებთ, ბატონმაც
და ყმამაც დამანას სიკვდილს მიაშურეთ და მის მალე გარდაგებას.
ეცადენით.

ლომიან ბძანა:

— საყვარელო დედაჩემო, მართალი მოგახსენო, მე ამ საქმეს,
სინამ მართალს არ შევიტყობ, დამანას გარდაგებას ვერ დავაშურებ-
არამც სხვათ სარგებლობის გულისათვის მე ზიანი დამემართოს,
კაცთა სიამოვნისათვის გამჩენის წყრომა მომეცეს! სინაძის ამ საქმის
მართალი და ჭეშმარიტი არ გამოვსებნო და სწორად არა ვსკნა, თუ
მე იმას ვაეწნო რამე, რადგან შეთურაბას საქმეზედ ამდონი სინაული
დამემართა. აწ ჯობს, რომ ეპვითა, ანუ სხვის ქართულით, ამისთანა-
გამოსაყენებელი კაცი არ წავახდინო, ცოტას ხას დამაცადეო.

ოდეს კაცთა ავის მოქმედება ნახო¹, ნუ თუ მსწრაფლ მოგვი-
ანოდაც მოქმედვას ეცადო, კარგია..

(იქვე, განჩე—გარდიგარდმო აშიაზე ვახტანგის ხელით ეს
ლექსი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

ნახო კაცი, სამუდამოდ, რა ავისა იყოს მქმნელად,

ადრე ვერ ქნა, გვიან იყოს, შეეცადე მოსაქცეველად)

და ადგენ, თავიანთ სადგომისაკენ მოსახვენებლად წავიდენ.
მაგრამ დამანა საპყრობილები წაეყვანათ და უდრეკელი შეეყ-
რათ და ქილილს ამხანაგობისა და ძმობის გზითა რომ დამანა მია-
ჩნდა, სანხივად წავიდა და როდეს შევიდა საპყრობილესა, თვალ-
თავან ღვარულად ცრემლი წაედინა და უთხრა:

— მათ, შენ ამ შეჭირებაში როგორ გნახო, ან ჩემს ცხოვ-
რებას რაღა გემოვნება ექნებაო...

და დამნამაც ტირილ დაიშვი და უპასუხა:

— „მე ეს განსაცდელი და არც ამ საპყრობილის უდრეკელი
მაგდენად მაწუხებს და მიმძიმს, რომ თქვენის ბედნიერის აგებულე-
ბისა და ენა ტკბილის გაყრა მიმძიმს.“

ორივე ეს ამონაწერი ემყარება ერთსა და იმავე წყაროდან,
სპარსული ძეგლიდან, მომღინარე ორ სხვადასხვა ვერსიას, შესრუ-
ლებულს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ. როგორც
სათანადო სიზუსტით გარკვეული აქვს ხსენებულ ნაშრომში პროფ-

¹ დაყოფა ყველგან ჩემია (მ. ხ.).

ა. ბარამიძეს, C ვერსია (იგივე ნაბეჭდი ტექსტი—„ქილილა და დამანა“) წარმოადგენს ვახტანგის მიერ შესრულებული თარგმანის. (B ვერსია) საბოლოო რედაქციას (საბას რედაქცია), რასაც, როგორც დავინახეთ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენთვის ამჟამად გასარევევი ტერმინების დადგენის საქმეში. თუ როგორ არის წარმოადგენილი სათანადო ადგილები თვით B ვერსიაში (ვახტანგი-სეულ თარგმანში), ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი შესაფერი. ადგიოვების მოყვანის შემდეგ, ხოლო აქვე საჭიროა შეინიშნოს, რომ C ვერსიიდან (მაშასადამე, ნაბეჭდ ძეგლიდანაც) მოტანილი ამონა-წერით დადასტურებული გვაქვს ტერმინი, „ხალაჯაური“ („ხალაჯაური დაადვეს“), რის შესატყვის სახელწოდებად იმავე ამონაწერში მოცემულია რამდენიმე სტრიქონს ქვემოთ—„მძიმე ჯაჭვი“ („საპყრობილისა მძიმე ჯაჭვი“). ცხადია, მაშასადამე, რომ „ხალაჯაური“ იგივეა, რაც დასაპატიმრებელი მძიმე ჯაჭვი, რომელსაც დაადებდნენ ხოლმე დამანაშავეს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, საბას ხელიდან გამოსული დაიბეჭდა კიდეც თავის დროზე ხსნებული ძეგლი, ხოლო ქრონოლოგიურად საბას მუშაობა ექუთვნის „ქილილა და დამანა“-ზე მუშაობის უკანასკნელ ეტაპს, რომელიც განვლილ იქნა 1717 წლის მომდევნო (ასლო) ხანებში (ევროპიდან დაბრუნების შემდეგ).

ასლა მეორე ამონაწერის შესახებ, რომელიც A ვერსიით არის მოცემული—იქ, C ვერსიით მოტანილი ტერმინების ნაცვლად („ხალაჯაური“—სა და „მძიმე ჯაჭვის“ მაგივრად), ორსავ შემთხვევაში სმარებულია „უდრეველი“, როგორც სპეციალური ტერმინი, ადამიანთა დასაპატიმრებლად (თუ ცხოველთა დასაბმელად) განკუთვნილი იარალის სახელწოდება.

ორივე მოტანილი ამონაწერის (და მაშასადამე, გაკვრით, A და C ვერსიის) დედანთან ურთიერთობის საკითხები გაიჩინება იმის შემდეგ, როდესაც ამ უკანასკნელიდან (სპარსული დეტალი) წარმოვადგენ სათანადო ადგილებს, მოცემული ამონაწერის შესატყვისად, ხოლო მანამდე საჭიროა აღნიშნოს, რომ ხსნებული ძეგლის A ვერსია წინ უსწრებს ორ დანარჩენ ვერსიას და შეადგენს რამდენიმე კაცის ნახელავს. როგორც სათანადო საბუთობილან ჩანს (შიდრ. ალ. ბარამიძე, დასახელებული ნაშრომი), ამ ძეგლის გადმოთარგმნას (ჩვენამდე მოლწეული ვერსიების მიხედვით) იწყებს მე-17 საუკუნის. პირველ წლებში დავით მეფე, ხოლო ერთი საუკუნის გასულის შემდეგ აგრძელებენ თარგმნას, ვახტანგ მეექვსის ბრძანებით, ჯერ ირანელი, შემდეგ კი სომეხი, რომელთა ნახელავი არ მოსწონებია მწიგნობარ მეფეს (თუმცა ცდილა კი დედანთან შეჯვ-

რების პროცესში, შეესწორებია მოცემული თარგმანის ადგილები, რაც მტკიცდება ვახტანგის ხელით შიგაღაშიგ ჩატანებული სიტყვებით, შეესწორებებით, მონაწერებით — აშიებზე და სხ.) და ამიტომ ხელახლა იწყებს თარგმნას თავიდან, რა თქმა უნდა, უშუალოდ დედნიდან. როგორც თავის ადგილას დავინახავთ, ამ ვარემოებას ფრიად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საძიებელი ტერმინების დადგინის საკითხისათვისაც, გარდა იმ სპეციალური საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია დედნის სხვადასხვა ადგილების სათანადო სიზუსტით დადგენასა და მათ გაგებასთან. ამგვარად, მაშასადმეს, A ვერსიას სათავე ეძლევა დავით მეფის მოღვაწეობით და გრძელება ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ ვიღაც ირანელის მიერ, რომლის კალამსაც განეკუთვნება ამავე ვერსიიდან ჩენ მიერ მოტანილი ამონაწერი. მაშასადმეს, ამ ამონაწერში დადასტურებული სპეციალური ტერმინების (თუ ტერმინის) არსებობა მაინცდამაინც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისშია საგულვებელი.

ახლა ბუნებრივია დაისეს საკითხი იმის შესახებ, თუ, როგორია შდგომარეობა ამ ტერმინების მხრივ B ვერსიის მიმართ?

მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის სააზიო მუზეუმის (აწინდელი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის) ხელნაწერთა განცოცილებაში დაცულ „ქილილა და დამანა“-ს ვახტანგისეული ნუსხის (B ვერსია) მიხედვით ვკითხულობთ:

„ვეჭვობ, რომ დამანას საქმეც შურით იყოს ამდგარი!

ლომის დედატ მოახსენა:

— მე ამ კარისკაცთაგან მეშურნეობის რიგი არ მინახავს; არავისი ამ სახის ეჭვი არა მაქვს. ეგება ესე იყოს, ყველას პირობა ექნას, მისი მოკვლისა და ხელმწიფის დაბეზღებისათვის, თუ არა და, მის გაცუდებას არავისი სარგებელი არა აქვს.

ლომბა უთხრა:

— მე ამ საქმეში ასე მწარია, რომ დამანას გაცუდებასა და მის საქმეზედ არ ავჩეარდე. არამც სხვანი ჩემი წყალობისათვის მის ქიშპობას ცდილობდენ! მე სხვის სიმოვნისათვის ღვთის თვალი რასთვის გავიშორო? სანამდე მისი საქმის ძებნას არ გავათავებ, მე მისი მოკვლის დანაშაულს არ დავიდებ. შურიტებას საქმეზე რომ ავჩეარდი, იმთონი სინანული გავწიე. ამაზე ასე აღარა ვიქ. სიკეთე ეს არის, რომ საქმის შეუტყობრად ხელ-გამომავალი და გამორჩეული კაცი არ წავახდინო და სანამდის მართლის პირი ეჭვის ფარდას უკან არ ვნახო, არას ბრძანებას იმაზე არ მივაწევ და ამ სიტ-

ყვის თარგმანი რომ გამორჩეული სარგებელია, წმინდას ზნის ნაშობი, ერთ ბრძენს რომ უთქვამს, არ გაესცილდები¹:

ლექსი—თუ ჯაჭვი ჩაგივარდეს ეროის კაცის დანაშაულზე, ნამეტანი ბევრი მოთმინება ქენ სატანჯველში. ადვილია² ბადახშანის ლალი რომ გატყდეს, მაგრამ გატყხილს ველარათი შეკრავ! გაჯავრებითა და სიჩქარით თუ ხმალს ხელს გაიკრავ, კბილთან მიიტან სინანულის ხელის თითხ.

ლომსა და თავის დედას შუა სიტყვა ამაზე გათავდა და თავ-თავის სადგომ(ს) წავიდნენ. დამანა რომ საპყრობილეში წაიყვანეს და და დიანური და და დევს, ქილილა ძმობის გულის დაწვამ და მეგობრობის წყალობამ ამაზე დააყენა, რომ მის სანახვად წავიდა; და რა წამს საპყრობილეში შევიდა და დამანა დაინახა, ცრემლის წვიმამ. თვალის ღრუბლიდამ წვე ია დაიწყო და უხერა:

— ეჲა, ძმაო! შენ ამ ჭირსა და გარჯოლობაში როგორ გნახოდა ამას უკან სიცოცხლისაგან რაღა გემო მქონდეს?

ლექსი—უშენოდ, სულის გამსეუნებელო, როგორ ვიცოცხლო და თუ გვერთ არ მივდე, რა გაიხიარო? გითქვამს—ჩემის გაყრისათვის ნუ შეწუბდები³, უჩემდ გასმენ⁴. ხელმწიფობა რომ მექნას, მსახურობა როგორ და ვქნა?

დამანამაც ტირილი დაიწყო და თქვა ლექსი:

— აზიზის მოყვრის სიშორემ (ეს ორი სიტყვა აშიაზეა მიწერილი, — ს. ჯიქია) ლეიძლი დამიმუშავა და გული მომიწყინა. მე (sic) ეს ყველა ჯავრი, ჭირი და ნალელი, საპყრობილის მძიმე ჯინჯილი მაქთონი არა არის რა, რომ გაყრას უნდა ვეწყობოდე, მოშორვების ცეცხლით უნდა დავდნე“. (პუნქტუაცია ჩემია; დედანში ყოველი სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილი დამული. მ. ხ.).

ვახტანგისეული ნუსხიდან (B ვერსიიდან) მოტანილ ამონაწერში ჩენ გვაქვს ხმარებული ერთსა და იმავე საგრის „მძიმე ბორკილი“—ს, როგორც ახლავე დავინახავთ, სპარსული სახელწოდების „ბანდე გერან“—ის, შესატყვისად ორი სხვადასხვა ტერმინი: ერთ შემთხვევ-

¹ აქ მოტანილი ნაწყვეტი ხსნებული ნუსხიდან ჩემი თხოვნით გადმოწერა და თავაზიანად გადმომიგზავნა მეცნ. საკ. აკად. სპეც. თანამშრ. კოლეგა სერგი ჯიქიამ, რომელსაც დიდ მადლობას ვუძლენ.

² ეს სიტყვა წაწერილია სტრიქონში მოქცეულ და შემდეგ გადახაზულ „რომ ნათქვამია“—ს ზემოთ.

³ ამ უკანასკნელი სამი სიტყვის ქვემოთ გადახაზულია აგრეთვე სტრიქონში თავდაბირევებად შეტრილი ფრაზა: „გაუყრელობას ეწვობოდი“.

⁴ ამის ქვემოთაც ხაზგადასმულია: „ნულარ გატება“.

⁵ ესეც სტრიქონს ზემოთაა, მის ქვეშ ხაზგადასმულია: „მე პირი პატიოსნის“.

ვაში „დადიანური“ ხოლო მეორე შემთხვევაში „მძიმე ჯინჯილი“. („დამანა რომ საპყრობილები წაიყვანეს და დადიანური დადგეს“... „საპყრობილის მძიმე ჯინჯილი მაგთონი არა არის რა“). აქაც, მაშასადამე, ამ ვერსიითაც, დარღვეულია მთლიანობა დედნის ერთი და იგივე ტერმინის გადმოლების დროს ისევე, როგორც ამას აქვს ადგილი ვ ვერსიაში (და აქედან ნაბეჭდ ტექსტშიაც, მაშასადამე, „დამანა საპყრობილედ შეიყვანეს და ხალჯაური დაადვეს“.. „ეს ზრუნვა ჭირი და ნაღველი და საპყრობილის მძიმე ჯაჭვი მე არა-რად მიჩანს“..¹), შესატყვის ადგილებაც გამოყენებულია ერთ შემთხვევაში „დადიანური“, მეორე შემთხვევაში (იმავე ამონაწერში, რამდენიმე სტრიქონს ქვემოთ) „მძიმე ჯინჯილი“. მაშასადამე, სათანადო ანალიზის მოცემის დროს უნდა გაირკვეს მნიშვნელობა, როგორც ერთის, ისე მეორის. ორივე დაკავშირებულია რკინის იარაღთან, რომელიც გამოყენებულია აღამიანის დასაპატიმრებლად.

როდესაც გადავალო მატერიალური კულტურის ნაშთების მიმხილვაშე, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ვ ვერსიით ხმარებული პირველი ტერმინი „დადიანური“ ცოცხალია დღესაც და აღნიშნავს „ხაჯალურის“ ტიპის მძიმე ჯაჭვს; ასე რომ, დაწვრილებით ამის შესახებ სათანადო ცნობები და ახსნა-განმარტებანი მოცემული იქნება ქვემოთ, ახლა კი მოტანილ ამონაწერთა შესახებ ყოველ შემთხვევაში ამ თავითვე ერთი რამ შეიძლება გაირკვევით ითქვას. სახელდობრ ის, რომ აღნიშნულ ვერსიებში მოცემული სპეციალური სახელწოდებნი, პატიმრისათვის განკუთვნილი ჯაჭვის აღმნიშვნელნი, დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგანთან და, მაშასადამე, მათ მიერ აღნიშნული ობიექტის ფუნქციები ყველა შემთხვევაში იდენტურია. ყურადღების ლირსია ის გარემოება, რომ ვ ვერსიით (ვასტანგის თარგმანი) აღნიშნული ტერმინების მიმართ დედნის სათანადო ადგილების გადმოცემის დროს პრინციპიალურად ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც დადასტურებულია მოტანილი ამონაწერის მიხედვით C ვერსიის (საბას რედაქცია) ტურკლებზედაც—ე. ი. აქაც და იქაც სპარსული „ბანდე გერან“—ის შესატყვისად ორი სხვადასხვა სახელწოდებაა ნახმარი; მაშინ, როდესაც, მესამე (A) ვერსიის მიხედვით დედნის ეს მთლიანობა აღდგენილია და ორსავ შემთხვევაში ხმარებულია ერთი და იგივე ტერმინი—„უდრეკელი“. დედნის სათანადო ადგილის ასეთი აქტელებული ტერმინებით გაღმოცემა გარკვევით სვამს საკითხს თვით სპარსულში (სხვადასხვა სოციალურ დაჯგუფებათა მიხედვით) „ბანდე გერან“—ის გაგების შესახებ; მაგრამ ამაზე

¹ „ქილიდა და დამანა“, გვ. 206 (ნაბეჭდი ტექსტით).

სხვა დროს. ახლა დავიმახსოვროთ, რომ B. ვერსიით გვაქვს აღნიშნული ტერმინი „დადიანური“.

ზემო მოტანილ ამონაწერებს ირანულ დედამში უდრის შემდეგი აღგილი:

(ბერლინის ლითოგრაფ. გამოც. გვ. 146).

— გომან მიბარებმ ქე ყესახე დამანა ანგიზ პოსულან ბაშად მადარე შირ გოჭთ:

— მან დარ მოყარებანე ინ დარგაჲ შივახე პასად ფაშკე ნიქარდა პა ვა ბეჭიჩ ქოდაშ გომან ინ სეფათე ნაქუჭილდ ნაბორდა ვა ღლებ ან სა ქე ეთეფაყი პამა ბარ ყათლე უ ჯეპათე ნასიპათე მალექ ბაშად ვა ბეგი ნა რაფცე უ ბედინ მოყადემათ მოქათავ ნისთ.

შირ გოჭთ ქე

— დარ ინ ყესა შიობებ დარებმ ვა ბეჯეპათე რაფცე ან დარ ქერე დამანა შეთაბ ნახოჲმ ნომუდ ქე მაბალა ბარახე მანჭაჭათე დიგხან მაზარებთე ხოდ თალბილდ ბაშმ ვა ბარახე ხოშნული ხალაი ხაშე ხალე პასელ ქარდა თა დარ ქარე თაშკპუს თაშმ ნანომაჲმ ხოდრა დარ ქოშთანე უ მაშურ ნახოჲმ დაშმ ჩე დარ ქარე შოთობრა ქე თაუჯილ ქარდამ ინაშმ ფოშიმანი მიბაადლ ხორდ. სავაბ ან ასთ ქე ბე მოჯარადე გომანე პალე პონარ ვა პარაბე ქანაათრა ზაცე ნაგარდანაშ ვა თა ჯამალე ხასინ აზ ფასე ფარდეხე გომან რუი ნანომაჲდ პიჩ პოშმი ბეემზა ნარასანაშ ვა ბე მაზმუნე ინ სოხან ქე ნათიჯეხე თაბე შარიზ ვა ზალდე. ზეჭნე საჭი ხატკი ვა პაბერ ასთ დარ ნაგარდაშ.

ნაზმ

ჩე ხაშმ ოფთალდათ ბარ გონაჲ ქისი,

თაშმოლ ქონ პალი უუბდათ ბასი;

ქე საჭლ ასთ ლაცლე ბადაშან შიქსათ,

შიქსათ ნაშადდ დიგარ ბარ ბასთ.

ბე თონდი სობოქ დასთ ბორდან ბე თილ,

ბე დანდან გაზდად ფოშთე დასთ დარილ..

სოხან მინე შირ ვა მადარე შირ ბა თაშმ რასიდ ვა პარ ხატე ბეპარებაჲ ხოდ რაფთანდ. დამინარა ბეზენდან ბორდა ბანდე გერან ბარ ფახ ვა გარდანდშ ნეპალანდ. ქალილარი სოზე ბარალარი ვა შაფაცეთე სოპათ ბარ ან დაშთ ქე ბედილანე უ რავბდ. ფილპალ ქე ბეზენდან დარ ამალ, ჩაშმაშ ბარ ლამპანა ოფთად ბარანე სერეშქ ვა სოპებე დიდა ბარილან გერეფთ ვა გოჭთ:

— ეა, ბარალა! თორა დარ ინ ბალა ვა მექნათ ჩეგუნა თავნიშმ ლიდ ვა მარა ბაცდ აზ ინ ვა ზანდაგნი ჩე ლაზათ ბაშმ.

ცხრი

ბი თო ეჯ, ორაშე ჯანამ ზინდგანი ჩუნ ქონგმ!?
ჩუნ ნაბაში დარ ქანერამ, შიდმინი ჩუნ ქონგმ?!
გოფთაი, ბა ჰეჯრე მან დარ საზად ბი მან!
ბეგოზრან ჭალიშვი ქარდა ბაზამ,
ფასბანი ჩუნ ქონგმ!?

დაშმან ნიზ ბეგერია დარ მშპდ ვა გოფთ:

ბაზა

მარა დური დუსთანე შზიზ ჯეგი ხსსთა დარბდ, დელ აზორ-
ლა ნიზ, ვა მარა ინ ჰემ მეჭნეთ ვა მაშაყა ვა ბალნე ზენდან ვა
ბანდე გერან ჩანდან ნისთ ქე ბა ფარაუ თო დარ მიბაჟბდ სახთ ვა ბა
თაშშე ჰეჯრან მიბაჟბდ გოლახთ.

ჩემი თარგმანით:

„მე ვთიქრობ, რომ დამანას ამბავი შურიანობით უნდა იყოს
ამდგარი“.

ლომის დედამ მოახსენა:

— მე ამ კარის გამრიგეთა შორის შურიანობის მაგვარი არა
შეძიმჩნევია რა და არც ვიწმეზე ამიღია ეჭვი ასეთი სააუგო საჭ-
ციელის შესახებ. ყველაზე უფრო დასაშვები ის არის, რომ მის
მოკვლაზე ერთობლივი თანხმობა მეფის შესმენის მიზეზით იყოს
გამოწვეული, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ასეთი მოფიქ-
რებული გარდაგდება საჭირო არ იქნებოდა.

ლომმა უთხრა:

— მე ამ ამბავში ეჭვები მეპარება და მათ გასაფანტავად და-
მანას საქმეში სიჩქარე არ მინდა გამოყიჩინო, რომ განგებამ წუ-
ქნას, სხვათა სარგებლობის გულისათვის. თავის თავს ზიანი მივაყენო
და ხალხთა სიამოვნებისათვის გამჩენის წყრომა მოვიპოვო! სანამ
საქმის ვითარებას ზედმიწევნით არ გამოვიკვლევ, მის მოკვლის
ბრალს თავის თავზე ვერ ავიღებ, რადგანაც შოთორბას საქმეში
რომ ავჩქარდი (და) ეგზომ სინანულად შემექნა. სამართლიანობა ის
არის, რომ ლიტონ ეჭვებზე დამყარებით არ წავახდინო უნარიანი
და გამჭრიანი პიროვნება. სანამ უტყუარი კეშმარიტების სიმშვერი-
ერ თავის სახეს არ გამოაჩენს ეჭვის ფარდიდან, არავითარი ბრძა-
ნება არ გაფსცე და არ გადავუხვიო იმ ლრმა მნიშვნელოვან სიტ-
ყვებს, რაც მიეწერება ერთ-ერთ ბრძენსა და კეთილგონიერ პიროვ-
ნებათაგანს:

ლექსი

თუ ვინძეს მიერ ჩადენილმა დანაშაულმა
შენში რისხვა გამოიწვიოს,
სამაგიეროს გადახდაში დიდი მოთმინება იქონიე!
რადგანაც, ადვილია ბადახშანის ლალის დამტვრევა,
მაგრამ, დამტვრეულის ხელმეორედ გამოილება შეკლებელია!
აღლვების დროს ადვილია ხმალზე ხელის გაკვრა,
მაგრამ გვიანლა (უსარგებლო) იქნება ხელის ზურგზე კბენა!

ლომსა და დედა მისს შორის საუბარი დასრულდა და თითო-
ეული თავის მოსასენებელში წავიდა.

სოლო დამანა რომ საპყრობილეში წაეყვანათ და ფეხებსა და
კისერზე. ხაჯალური დაედვათ, ქილილა, მისდამი ძმური სიყვარუ-
ლისა და ამხანაგური თანაგრძნობის შექმნე; მის სანახავად მიემზავ-
რება. რა წამს საპყრობილეში შევიდა და დამანა დაინახა, თვალთ-
თაგან ღვარულად ცრემლები ვადმოეშვა და თქვა:

„ქმაო, ამ ჭირსა და უბედურებაში როგორ შემიძლია გიმზი-
რო, ანდა ამის შემდევ ჩემ ცხოვრებას რაღა გემო ექნება?!

ლექსი:

— უშენოდ, ჩემო სულისდგმავ, როგორ ვიცხოვრო ამ ქვეყნად?
თუ კი ჩემ გვერდით არ მახლდე, სიმხიარულე ვით შექნას?

გითქვამს:—უჩემოდ შეეწყობი ცხოვრებასო!

ხელმწიფობა რომ მერგოს, დარაჯობა ვით გავწიო?

დამანამაც ტირილი მორთო და თქვა: ბათი:

— მაწუხებს და გულლვიძლს მდაღავს მოშორება საყვარელი
მეგობრისა,

თორემ, ყველაფერი ეს—სიღუსჭირე, ტანჯვა, საპყრობილის
უბედურება

და ხაჯალური იმდენად არაფერია, რაც შენი დაცილებით
უნდა დამატედეს თავს და დაშორიშორების ცეცხლით უნდა
ვდნებოდე!

ზემო მოტანილ ამონაწერებიდან ორი (A ვერსიითა და B ვერ-
სიით მოცემული) წარმოადგენს ირანული ორიგინალის უშუალო
თარგმანს, რომელთაგან მეორე (B ვერსია, ვახტანგის თარგმანი)
თავისი საერთო ლიტებულებით და დედნის ზუსტად გადმოღებით
გაცილებით მაღლა დგას პირველზე (ამ უკანასკნელის დამუშავებაში,
როგორც აღნიშნულიც იყო, ვახტანგსაც უცდია შეეტანა თავისი
წვლილი, სარედაქციო ხასიათის შენიშვნების სახით); ამიტომ, მონაბ-

მ. ხუბუა 2



რივად, უპირატესობა მეორე ვერსიას (B) უნდა მიწიკებოდა; უმისდა
მიუხედავად საჭირო აღინიშნოს, რომ ხსენებული ძეგლის ქართულ
თარგმანთა სწორი სახის დასადგენად წარმოებულ მუშაობის წრიო-
ცესში რომ პირველ (A) ვერსიასაც შეუძლია თავისებური წვლილის
შეტანა, ამის საილუსტრაციოდ გაკვრით შევეხოთ მოცემულ ნაწყვეტთა
მანძილზე არსებულ თარგმნითი ხასიათის თავისებურებათაგან შემდგე
ფაქტებს: (თანამიმღევრობით — A ვერსიიდან, B-დან, C ვერსიიდან,
ირანული დედნიდან და ჩემი თარგმნით).

1. ა) „არამც სხვათა სარგებლის გულსათვის მეზიანი და-
მემართოს, კაცთა სიამოვნისათვის გამჩენის წყრომა მომეცეს“ (A
ვერსიით, ლომის პასუხიდან დედის მიმართ).

ბ) „არამც სხვან ჩემის წყალობისათვის მის ქიშპობას ცდი-
ლობდენ, მე სხვის სიამოვნისათვის ლვთის თვალი რასთვის გავი-
შორო“ (B ვერსიით).

გ) „არცა სხვანი იგი მაზედ ჩემი წყალობისათვის დაქიშე-
ბულნი იყვნენ. მე სხვათა სიამოვნისათვის ლვთის თვალი წარ განვი-
შორო“ (C ვერსიით).

დ) (ირანული ორიგინალით)

ქართული ტრანსკრიფციით მივიღებთ:

— მა ბ დ ა ბ ა დ ა გ მანდის ბარ მანდის ბარ მანდის ბარ მანდის
თარგმანი ბარ მანდის ბარ მანდის ბარ მანდის ბარ მანდის ბარ მანდის

თარგმანი: — განვებამ ნუ ქნას, სხვათა სარგებლობის გულის-
თვის თავისთავს ზიანი მივაყენ და ხალხთა სიამოვნებისათვის გამ-
ჩენის წყრომა მოვიძოვ!

ცხადია, თუ რამდენად სწორი ყოფილა A ვერსიით მოცემუ-
ლი თარგმანი, ხოლო უმართებულო და მიუღებელი B ვერსიის (და
მაშასადამე, C ვერსიისაც) ვარიანტი, რომლის გაღმოლების დროს
უეპველია, ერთგვარ გაუგებრობას უნდა ჰქონდა ადგილი, რაც
გამოწვეულია ირანული ფრაზის მეორე ნაწილში ქვემდებარის როლ-
ში გამოსული სიტყვის არა სწორი გაგებით; მისი, მოცემული კონ-
ტექსტში საგულვებული მნიშვნელობის, სხვა მნიშვნელობასთან არე-
ვით. ამნაირი ხსახათის არვეისათვის ნიადაგს ქმნის თვით აზაბული
(და აქედან ირანულიც) დამწერლობა, რომელშიაც, როგორც ცნობი-
ლია, არა იშვიათად, ერთიდაიგივე სახის ასო გამოყენებულია სსკა-
დასხვა თანხმოვანი ბევრის გადმოსაცემად, სათანადო წერტილების
(თუ წერტილის) დასმით (ზაღლა, ან დაბლა). საკმარისია, მოიშალოს
ეს უკანასკნელი საშუალება (წერტილების დასმა), რომ მყისვე გაძ-
ნელდეს არაბული შრიფტით დაწერილი ძეგლის წაკითხვა. ყოველ
შემთხვევაში, ამ ნიადაგზე სათანადო კონტექსტების გაგებაში არვ-

დარევის შეტანა აღვილად მოსალოდნელი ამბავია, საფიქრებელია, რომ B ვერსია ემყარებოდეს ისეთ ძეგლს, ირანულ ორიგინალს, რომელშიაც ხსენებული სიტყვის (მეორე ნაწილში ქვემდებარედ ხმარებულის უკ „თვალი“) თავკიდურ ასოს სათანადო წერტილი (თუ წერტილები) არ ჰქონდეს. მაშინ მისი წაკითხვა შეიძლებოდა სამი სხვადასხვა სახით, თითოეულ შემთხვევაში სათანადო მნიშვნელობის მინიჭებით. ასე, მაგ., თუ არ ვიგულისხმებდით თავკიდურ ასოზე (რომელსაც სპარსულ ალფაბეტში მერვე ადგილი უჭირავს) არავითარ წერტილს (არც მაღლა და არც დაბლა), მაშინ მივიღებდით სიტყვას — „პაშამ“ (ამალი); ერთი წერტილით მაღლა — გვექნებოდა „ხაშმ“ (რისხვა, წყრომა), ხოლო სამი წერტილით დაბლა — გამოვიდოდა „ჩაშმ“ (თვალი)! ასე რომ, საბოლოო ანგარიშში, თეოთონ კონტექსტი წყვეტს საკითხს. როგორც თავის ადგილზე მოცემული ტრანსკრიფციიდანაც ჩანს, აღებულ სიტყვას დედანში მოსდევს მისი შსაზღვრელი „ხალეუ“ (გამჩენი, ლმერთი, შემომქმედი)... ასე რომ, ორივე სიტყვა ერთად აღებული შეიძლება ნიშნავდეს — „ლოთის წყრომა (გამჩენის რისხვა“, „ლოთის თვალი“ და ა. შ.) მესამე შესაძლებლობა, „ამალა“, მოცემული კონტექსტისათვის საგულვებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. აქედან, მაშასადამე, A ვერსიის წაკითხვა მართებულად უნდა მივიჩნიოთ, რაღანაც, სათანადო მნიშვნელობის დასადგენად, ამ შემთხვევაში, ზნას ენიჭება გადახწვეტი როლი („მოპოება, დამსახურება...“), ამ უკანასკნელი გარემოების მხედვებლობაში მიღებით კი, B ვერსიაში მოცემული წაკითხვის მართებულ წაკითხვად აღიარება შეუძლებელი იქნებოდა.

2. ასეთივე სახის გაუგებრობას აქვს ადგილი სწორედ იმავე სიტყვის არაბულ-სპარსული დამწერლობის ნიადაგზე, მოტანილი ფრაზების ორიოდე სტრიქონს ქვემოთ, სადაც ლაპარაკია ვამანის მიმართ დანაშაულის ჩადენისა და სამაგიეროს გადახდაში მოთმინების გამოჩენის შესახებ. ამ შემთხვევაში სწორ გაგებასთან გვაქვს საჭმე გახტანგის თარგმანში (B ვერსია), ხოლო უმართებულო A ვერსიის გადმოლება, რომლის მიხედვით მთელი ეს ლექსი დამახინჯებელი და შექვეცილია (ნახე ზემოთ: „ოდეს კაცთა ავის მოქმედება ნახო.. და სხვ.; მაშინ, როდესაც, B (და, მაშასადამე, C) ვერსიით მოცემულია დედნის სათანადო ადგილის თითქმის უნაკლო გაგება (ნ. ზემოთ: „თუ ჯავრი ჩაგივარდეს ერთი კაცის დანაშაულზე“... და სხვ. (B ვერსიით). — „თუმცა რისხვა მოგერიოს, შემცოდისა წყრომა საესე“... და სხ. (C ვერსია, შეადარე სათანადო ადგილები).

მაშასადამე, დედნის ერთი და იგივე სიტყვა (სწორეთ იმავე დამწერლობის, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი) კვლავ სხვადასხვა

სახით წარმოდგა — ერთ შემთხვევაში „თვალი“ (A ვერსია), მეორე შემთხვევაში — „ჯავრი“ || „რისხეა“ (B და C). დასაშეგებია, რომ ეს ორი სხვადასხვა წაკითხვა უშუალოდ ემყარებოდეს თვით ირანულ დედანში სათანადო დამწერლობის სახით მოსალოდნელ ორ, ერთ-მანეთისაგან განსხვავებულ, ვარიაციას, რასაც, კონტექსტის მიხედვით ირანულშიც შეეძლო მოეცა ეს ვარიაციები, ე. ი. შესაძლებელია, რომ ირანული დედნის ერთ ვარიანტში ყოფილიყო „ჩაშმ“ (თვალი), მეორეში კი „ხაშმ“ (რისხეა, წყრომა); ასე, რომ, პარალელურად ორივე ფორმს არსებობა, ხსნებული ძეგლის ირანულ ვარიანტებში, გამორიცხული არ შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევებში, მაშასადამე, ტექსტის თავისებურად გაგების ღასაყრდენს უშუალოდ მოგვცემდნენ ირანული ძეგლის რეალიზბი, რადგანაც ეს სიტყვა ისეთ კონტექსტშია მოქცეული, რომ შესაძლებელია სათანადო ფრაზის უმტკირნულოდ გამზროვა ორსავ შემთხვევისათვის; განსაკუთრებით მაშინ, თუ კი მკითხველი (მთარგმნელი) ფრაზის პირველ ნაწილს მიაქცევდა ყურადღებას და ლექსის პირველი ნაწილის ფარგლებში იქმნებოდა მოქცეული მისი გულისყური, უმთავრესად, ერთ შემთხვევაში შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც „თვალის დაცემა“, ე. ი. „ნახვა“ (ჩაშმ ოწადებთ — თვალი შენი დაეცა, ნახე || ნახო) (ვინგესი), მეორე შემთხვევაში კი იმავე ზმნის „დაცემას“ (ოწადებნ) გამოყენებით მკითხველს (ან გადამწერს ირანული ძეგლიდან ირანულადვე) ადვილად შეეძლო გაეგო ეს საღისკუსიო სიტყვა, როგორც „რისხეის დაცემა“ || „რისხეით (წყრომით) შეპყრობა“. ორივე შემთხვევა, მაშასადამე, სხვადასხვანირი გაგებით, შეიძლებოდა დაკავშირებოდა ისეთ ძეგლს, რომელშიაც ხსნებული სიტყვის თავიდურ თანხმოვანს არავითარი წერტილი არ ექნებოდა. ხოლო ასეთ ნიადაგზე წარმოშობილი ორი სხვადასხვა სიტყვის შემცველი ვარიანტები — ერთ შემთხვევაში წერტილით მაღლა და, მაშასადამე, მნიშვნელობით „რისხეა, წყრომა“, მეორე შემთხვევაში კი სამი წერტილით დაბლა და, მაშასადამე, მნიშვნელობით „თვალი“, ხოლო შომ-დევნო ზმნასთან დაკავშირებით „შეხედვა“ || „ნახვა“ (შედ. „ნახო“ და სხ.) (აი ასეთი ვარიანტები) თავის მხრივ, ცალ-ცალკე, უნდა დასდებოდა საფუძვლად სათანადო რეალიზბის არსებობას მომდევნო ირანულ ძეგლებში.

რომ ეს მართლაც ასეა, ე. ი. რომ ამ საღისკუსიო სიტყვის ამა. თუ იმ საბით (ჩვენი კონტექსტისათვის ორი სახით) წარმოჩენა თვით ირანულში არის მოსალოდნელი სწორეთ ამ აღნიშნული კონტექსტის ფარგლებში, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: როგორც ცნობილია (იხ. აღ. ბარამიძე; ხსენ. ნაშრომი) A ვერსიის ზო-
 140

გიერთი ადგილის მართებულ სახეებში დასადგენად ვახტანგის კალამსაც ჰქონია შეტანილი სათანადო წელილი, რომლის ნიმუშიც
მოცემული გვაჲ ცუნდაც A ვერსიის იმავე ფრაზის მიმართ, რის
შესახებაც წარმოებდა საუბარი. როგორც ზემო მოტანილ ვერსი-
იდან ამონაშერ ნაწყვეტში დადასტურებულია (ნახე სათანადო ადგი-
ლი), ვახტანგს აშიაზე იგივე ლექსი, რომელშიაც მოყოლილია ჩვენი
ფრაზაც, წაუწერია თავისებური რედაქციით, ხოლო არსებითად კი
შინაარსი იგივე დაუტოვებია („ნახო კაცი სამუდამოდ რა ავისა
იყოს მქნელად“ და სხვ.), ე. ი. აქცი (ამ მინაწერშიაც) თვალით
დანახვაზეა ლაპარაკი. ხსენებული A ვერსიის არსებულ ტექსტში
მოცემული წაკითხვის-და თანახმად, ცხადია, მაშასადამე, რომ იმ
ირანულ დედანში, რომელსაც ემყარება ხსენებული ვერსია (და
რომლითაც ხელმძღვანელობს ვახტანგიც, სათანადო შესწორების
შეტანის დროს) უნდა ყოფილიყო „ჩაშმ“ (თვალი), რადვანაც, ჯერ
ერთი, იმავე ვერსიის სხვადასხვა ადგილის სათანადო შესწორების
შეტანის დროს, თავისი რედაქციის გასამართლებლად, თუ მეტი
გარკვეულობის შესატანად, არა ერთხელ აქვს მოცემული ვახტანგს
შესაფერი ირანული წარწერაც, რაც ამტკიცებს, რომ სარედაქციო
მუშაობის პროცესში თარგმანის ყოველი სიტყვა გატარებულია დე-
დანთან შეჯერების კონტროლ ქვეშ; მეორე, არა ნაკლებ ჩნიშნე-
ლოვანი გარემოება ის არის, რომ შემდეგში, როდესაც მწიგნობარი
მეფე საბოლოოდ რწმუნდება შესრულებული თარგმანის უვარევი-
სობაში და ხელახლა შეფრთხის ძეგლის თავიდან თარგმნას, მაშინ
იგივე ფრაზები, როგორც ზემოთ ვნახეთ, გადმოლებული აქვს სულ
სხვანაირად („თუ ჯავრი ჩაგვარდეს“... და სხვ.) ცხადია, მაშასა-
დამე, რომ დედნის ერთი და იგივე ფრაზის (გამსაუთოებით მისი
ქვემდებარის) გადმოლება მთარგმნელის მიერ სხვადასხვა დროს სხვა-
დასხვანაირად, უნდა მომდინარეობდეს თვით ირანულ დედანში არ-
სებული თავისებურობიდან. მე არ ვხები აქ ამ შეირე ნაწყვეტის
მანილე არსებულ სხვა თავისებურებათ, რომელთა შესახებაც შეი-
ხველს თვითონ შეუძლია მიიღოს დაახლოებითი წარმოდგენა ჩემ
მიერ მოცემული თარგმანის მიხედვით. ყოველ შემთხვევაში, აშეა-
რაა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ვარიანტების კრიტიკული შეს-
წარელა არა მარტო დედანთან შეჯერების თვალსაზრისით, არამედ
ოვით ირანული ძეგლის ზოგიერთ ადგილთა შესასწორებლადაც.

ასე, მაგალითად, ჩემ მეერ ზემომოტანილ ირანულ ციტატაში
მოცემული ერთ-ერთი ფრაზა (რომლის შესახებაც ვრცლად იყო
საუბარი): „ჩუ ხშმ ოფთადეთ ბარ გონძჭ ქსნი...“ სათანადო არა
დანში იქითხება შემდეგნაირად: „ჩუ ჩიშმ ოფთადეთ“ და

ლო დედნის ასეთი წაკითხვა არ არის სწორი და ჩემ შეიძლო რეზულ იქნა „ქილილა და დამანას“ В და С ვერსიების მიხედვით, სადაც, ჩემი აჭრით, მარჯებულად არის გაგებული და გაღიოცემუ- მული დედნის სათანადო ქონტექსტი. ამას საუცხოვოდ ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ეგვევ ქონტექსტი, ოდნავ შეცვლილი სახით მაგრამ ჩენოვის საინტერესო ტერმინის იმავე გაგებით, ოორუც მე მაჟვს შეცვლებული, მოცემულია განთქმული პოეტის საადი ში- რაზელის ცნობილ „ბოსტრანში“, სადაც ვკითხულობთ:

— ჩე ხაშმ ოდნდთ ბარ გონძ ქსი, თანმოლ ქონაშ უყობრა- ბასი... ხოლო პროფ. ჩაიკინის მიერ შესრულებულ გალექსილ თარგ- მანში ამას უდრის:

«Коль хочешь карать ты чью-либо вину,
Последствия взвесь, загляни в глубину»¹.

ამავე დედნის სხვა ადგილებშიაც არის მოცემული ეგვევ ქონ- ტექსტი, მაგრამ ყველან ხმარებულია „ხაშმ“ და არა „ჩაშმ“. ამგვა- რად, მტკიცდება ვახტანგის თარგმანისა და საბას რედაქციის სი- ზუსტე ამ ქონტექსტის სწორად გადმოცემის საკითხში.

3. მომდევნო პერიოდის ლიტერატორ-მკვლევართაგან საიდ- ბები დასასჯელი იარაღები, რომელიც ხმარებაში იყვნენ გლეხების მიმართ, აღნიშვნულია ბოროტდინის მიერ. (იხ. ხოროვანი, „Закавказ- воспоминания. Миниатюры и Сванетия“). ამიტომ მნიშვნელობას მოც- ლებული არ იქნებოდა ბოროტდინის შრომიდან სათანადო ადგილის მოტანა, სადაც ვკითხულობთ: „Мы отобрали у них (у князей; მ. ხ.) цепи и оштаники, в которых они нас томили по целым годам“.

4. ევვე ადგილი თ. სახოკიას თარგმანით: „ჩამოვართვით ხაჯალურები და დადიანურები, რომლითაც ისინი ზოგჯერ მოელი წლობითა გვტანჯავდნენ“².

¹ Бустан. перевод К. Чайкина, стр. 21, Москва. Академия, 1935 г.

² კ. ბოროტდინი „სამეგრელო და სვანეთი“ თარგ. თ. სახოკიას. ხაჯალურების ბოროტდინის ბოლო ნაწილში, სადაც მოცემულია საუბრი ბატონისა და ყმას შორის, ხარგებულია „ხაჯალური“, იმავე ფორმით, მაშასადამე, როგორც ეს არის საწერილი სიძეველთა მუსუმის გატალობში იმავე თედო სახოკიას ჩაუ- წებით (ნ. ქემოთ). მოვიტანოთ სათანადო ხაჭავეტი ბატონისა და ყმის დიალო- გიდან: (ბატონი ეკითხება ყმას) — ეინ რა დაგიშავა, რატომ არ მეტყვი?

— აბა ეინ იქნება, ბატონი! მდივანბეგი... სულს გვარომევს, ბატონი. ხან- ჯალურით დაგაბამო, მეტყება, ქურდობასე ხელი უნდა აიღოვო (34).

(სსენგებული გვერდის ქემოთ აშინე მოთავსებულია მთარგმებლის განმარ- ტება: ხაჯალური — ტკინის ჯაჭვია, რომლითაც ბატონებობის დროს სამეგრე- ლოც ცნკ აბამდენ ხდომე დასასჯელად“).

5. მიემართოთ ახლა ჩვენს ლექსიკოგრაფებს, რადგანაც ლექსიკონებიც სალიტერატურო ძეგლთა ნიმუშებადაც შეიძლება იყოს გამოყენებული.

ა) დ. ჩუბინაშვილი თავის რუსულ-ქართულ ლექსიკონში გვაძლევს სათანადო ადგილას შემდეგ ცნობას: „ხაჯალური-ბორკილი“, კანდალი, ქილ. 252.

ეს, მაშასადამე, იგივე ფორმაა, რაც „ქილილა და დამანას“ ც ვერსიაშია მოცემული, რის შესახებაც თვითონ ლექსიკოგრაფიც იძლევა მითითებას. ცხადია, რომ ეს ერთად ერთი ქებლი ყოფილა, ლექსიკონის შედგენის დროს ხელმისაწვდომი, სადაც დადასტურებულია საძიებელი ტერმინი (ოდნავ შეცვლილი სახით კი). მართალია, ამ სახით ეს ტერმინი არ გხვდება არსად (ვგულისხმობ ამ მხრივ უკვე საქმიად შესწავლილ რაონებს დასავლეთ საქართველოს. ფარგლებში მხოლოდ, რათე ერთ გამბობა აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ—სათანადო მასლების უქინლობის გამო), არც მეგრულში (როგორც თავშვე ჩანდა), არც აქარულში (როგორც ეს ჩანს ჩემ მიერ აქარაში ჩაწერილი მასალების მხედვით), არც სამურჩაყანისა, აფხაზეთსა და ზემო იმერეთში თუ ქვემო სვანეთში—ლაშეთში (როგორც ეს დადასტურებული იქნება ქვემოთ მოტანილი უტყუარი ფაქტების მიხედვით)—მაგრამ, ეს ორი ფორმა—ხალაჯური და ხაჯალური რომ ერთი და იგივე სიტყვა არის, ეს, ვფიქრობ, არ უნდა იყოს სადაცო. „ქილილა და დამანას“—ში ხარტებული ფორმა ჭარბობადგენს მეორე და მესამე თანხმოვნის გადასმ-გადმომახას (მეთათეზისს), რასაც, სხვათი შორის, არა იშვიათად, აქვს ადგილი იმავე ძეგლის სხვადასხვა ადგილას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბას თავის ლექსიკონში არ აქვს შეტანილი ეს ტერმინი (და არც „დადიანური“), მიუხედავად იმისა, რომ სწორეთ მის მიერ რედაქტირებულ „ქილილა და დამანას“ ვერსიაშია იგი ბმარებული. ცხადია, რომ ამ ძეგლზე მუშაობის პერიოდში მისი ლექსიკონი უკვე დასრულებულია; მაგრამ არც ჩამატებულ სიტყვათა სიაშია ის შეტანილი. საფიქრებელია, რომ ეკრანპირან მობრუნების პროცესში (თუ გამგზავრების) დასავალეთ საქართველოს სანაპიროებზე გავლის დროს შეეთვისებიოს მას ეს ტერმინი, როგორც დავინახეთ, მცირეოდენი ცვლილების შეტანით, თორებ წიგნებიდან რომ ჰქონოდა შეთვისებული, მაშინ თავის ლექსიკონში უსათუოდ შეიტანდა. (იხ. საბას ავტოგრაფი ლექსიკონი „წერა-კითხების“ ქოლექ., ქ 31):


ბ) ილია ჭონიას „სიტყვის კონა“-ში ვკითხულობთ:

„ხაჯალური (ხაჯალური) — (ნ. აბდუშელიშვილის განმარ-

ტებით) ორკობიანი დიდი ჯირკი, რომელსაც სახიბივით შეაბამ-დენ მძმე დამნაშავეს და ისე ჩაგდებდნენ საპატიმროში; სხვათა შორის იმერეთის მეფემ სოლომონ II რაჭის ერისთავს, როსტომს დაადგა ხაჯალური და ისე დაატუსალა“.

მაშასლიმე, აქედან აშკარად ჩანს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ხის იარაღთან, რომელიც გამოყენებულა (ამ შემთხვევაში მართლ-მსაჯულების მიერ) იმავე მიზნისათვის, რისთვისაც იყენებდნენ ხოლმე ამავე სახელწოდებით აღნიშნულ სპეციალური კონსტრუქციის რენის ჯაჭვებს.

II. როგორია მდგომარეობა მატერიალური კულტურის სფეროში? საქართველოს სახელმწიფო ტურეუმში თავმოყრილია აღამიანის კისერზე დასაღები ჯაჭვების საკმაოდ მდიდარი კოლექცია, რომე-



სურ. 1

ლიც სათანადო ნიმუშების თავისებური ფუნქციის მიხედვით შეიძლება დაყვოთ ორ კატეგორიად: პირველი კატეგორია შეიცავს აღამიანთა დასასჯელად გამოყენებულ ჯაჭვებს, მეორე კი დაკავშირებულია რიტუალურ წესებთან. ასეთი ძირითადი ფუნქციის-და მიხედვით ორივე კატეგორიის ჯაჭვები განსხვავდებიან ერთმანეთისა-გან თავისწ კონსტრუქციითაც: ასე, მაგ., თუ აღამიანთა დასასჯელად გამოყენებულ ჯაჭვისათვის ჰუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გარკვეული სახის ყელზე შემოსაკრავი ნაწილი (იხ. სურ. 1), სამაგიეროდ რიტუალურ წესებთან დაკავშირებით ხმარებული ჯაჭ-

ვები შეიძლება ასეთ რამეს მოკლებული იყონ, რაღაც მათთვის სრულიად საკმარისია სათანადო დანიშნულების ჯაჭვთა ერთ თავში შიმაგრებული კისერზე დასაცები ნახევრად-წრისებური ფორმის ჩეინ-სავე ენა, რომ შეიქმნეს სიმულაცია, შესაწირავად განკუთვნილ პირების ჯაჭვით დაბმის შესახებ (სურ. 2).

ამ ორი ფუნქციის (დამიანთა დასჯისა და რიტუალური წესების) მიხედვით თუ მოვახდენთ არსებული ჯაჭვების დაჯგუფებას, მივიღებთ შემდეგ სურათს:

აღამიანთა დასსჯელად გამოყენებულია:

1. ის ჯაჭვი, რომელიც 1908 წელს სიძველეთა მუხუმისათვის გადაუკია თედო სახოვის მის მიერ სამეცნიელოდან ჩამოტანილ სხვა ნივთთა შორის. თავის ანგარიშში ამის შესახებ ის წერს: „ხანჯალური ჯაჭვი, რომლითაც მებატონენი დამნაშავე გლეხებს




სურ. 2 (6) „დადიანი“

აბამდრენ ბატონიშვილის დროს. ნაპონი (დიდ) ვიორგი ბატონიშვილისეულ სახლში, სოჭ. კურტეში (სენაკის მაზრა)“.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ბატონიშვილი არის სწორედ ის დადიანი, რომელმაც თავის ყმას, გიოს, დაადვა კისერზე საჯალური და ისე დააპატიმრა იგი. შესაძლებელია დაისვას საკითხი მხოლოდ იმის შესახებ, რომ ხესნებული ჯაჭვი ხომ არ არის ის ეგზემპლარი, რომელზედაც თავში იყო საუბარი და სიიდანაც ეძლევა სათავე ჩვენი კვლევაძიების მსვლელობას. ყოველ შემთხვევაში, ურყყვი ფაქტია ის, რომ მა ჯაჭვის სახით ჩვენ გვაქვს „ხანჯალური“-ს ტიპური წარმომადგენელი, რაშიაც აშკარად დარწმუნდება ყველა, ვინც კი ზეეცდება ერთმანეთს შეადაროს მათქვამი ქუთარია ბერულას სიტყვებით აწერილი იარაღი და ეს „ხანჯალური“, რომლის სიგრძე უდრის ოთხ მეტრსა და 15 სანტიმეტრს (იხ. სურ. 3, ხაჯალური).

თუმცა რჩება მაინც ერთი დეტალი, რომელიც თითქოს არღვევს მათ იდენტობას და ცოტა სხვანაირად აუქნებს ყელზე შემოსაკრაიი ნაწილის კონს ჩრუქციის საკითხს. საჭმე იმაშია, რომ ზეპირი საუბრის დროს ჯაჭვის ერთი თავი რგოლით მითითებულია რა

გარეთ გასატანად და ჯოხის გასაყრელად (რაც სწორად არის მოცემული), მეორე თავის შესახებ ნათქვამია: „მაჟირა დუღი კოს კგხერს გეძღვ დო კგლერი რჩგ კგლათ“ — ე. ი. „მეორე თავი კაცს კისერზე ედვა და დაკეტილი იყო კლიტით“. ასეა ეს ზეპირ აწერილობის დროს, ხორც ამ ჯაჭვების დათვალიერება გვიჩვენებს, რომ ის მოკლებულია კლიტეს, ანდა მათ დასაკეტ რაიმე ნაწილს. ყელზე შემოსაკრავი ნაწილი გადაირაზება იქვე მოძრავად მიბმულ ენით, რომლის რგოლშიაც მაჟლი ტანჯაჭვის გატანით უკვე შეკრულია ყელის გარშემო ჯაჭვი; ასე რომ; არავითარი კლიტე საჭ-



სურ. 3. საჯალური

რო აღარ არის. ორში ერთი: ან არსებობდა მართლაც სსენტული კონსტრუქციის ისეთი ჯაჭვი, რომელსაც დაედგოდა კლიტე ყელის ნაწილის შესაკრავად, ანდა მათქვამს თავის მოგონებაზე ვერ აქვს ზუსტად დასურათებულ ჯაჭვის სათანადო დეტალები და უშვებს უნებლიერ შეკომებს. საფიქრებელია, რომ მან ვერ მოიგონა დაწვრილებით ყველა ნაწილის კონსტრუქცია, ან ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება დაზუსტებული აწერილობის მომენტებს და სხ. ეს მით უფრო მისაღებია მხედველობაში, რომ მათქვამი ეხება იმ ეპოქას, როდესაც ის ჯერ კიდევ მცირებულოვანი იყო; მეორე მხრით, მეც პირველად ვისტენდი ასეთი იარაღის აღწერილობას და სათანადო გამოცდილებას მოკლებული ვიყავი მისი კონსტრუქციული თავისებურების შხრივ, რომ შეკითხვების საშუალებით უფრო დაეზუსტებია მათქვამს ყელზე შემოსაკრავი ნაწილის დეტალები.

ასეა თუ ისე, ჩვენ წინაშე არის ფრიად მნიშვნელოვანი გარე-
მოება, როდესაც ერთი და იგვევ მდგომარეობა (ბატონყმიბის დროს
გლეხების ჯაჭვით დაბმა) ლოკალიზებულია ერთსა და იმავე გეოგრა-
ფიულ პუნქტში და დადასტურებულია ერთიმეორისაგან დამოუკი-
დებლად, სრულიად სხვადასხვა ჭყაროების საშუალებით (ზეპირი საუ-
ბრის მიხედვით ჩაწერილი ტექქსტი და მატერიალური კულტურის ნაშთი).

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საეთნოგრაფიო გან-
ყოფილების ერთერთ დარბაზში („სვანეთი“) გამოფენილია ადამია-
ნის კისერზე დასადები და დასაბატიმრებელი ჯაჭვი, სახელშოდე-
ბით „დადიანური“ (სვანური გამოთქმით), რომელიც თავისი კონ-
სტრუქციით თითქოს სრულიად ემთხვევა „ხაჯალურის“ ტიპის
ჯაჭვს. ვამბობ, თითქოს, რაღაცანც პირველს არა აქვს ის რეოლი,
რაც ახასიათებს მეორეს და გამოყენებულია დირეს გასაყრელად-
იმ შემთხვევაში, თუ „დადიანური“ (ხსენებული კოლექციით) წარმო-
დგენილია უნაკლოდ და, მაშასადამე, რეოლს აღარ საჭიროებდა
(თავისი სიგრძის გამო), შაშინ ბუნებრივად დაისმება საკითხი ამ ორ
ჯაჭვს შორის ბოლო ნაწილის კონსტრუქციული განსხვავების შესა-
ხებ. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქვემო მოტანილ მა-
სალებიდან ზოგიერთი ცნობა მხარს უჭერს ახეთი კონსტრუქციის.
ჯაჭვების არსებობის ფაქტს: ასეთად შეიძლება ვივულისხმოთ ქრის-
ტეფორე კასტელის მიერ მოცემული სურათი, თუმცა ხსენებული
მიზნისათვის მის უჟრუა გამოყენებას ხელს შეუშლიდა ის გარემოე-
ბა, რომ სურათზე ნათლად არ არის მოცემული ჯაჭვის ბოლო ნა-
წილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო კატეგორიული დებულების
წამოყენება მისი ბოლო ნაწილის კონსტრუქციული თავისებურების.
შესახებ. ამის-და მიუხედავად, თუ მაინც დავისახელე. ის, იმიტომ,
რომ სურათზე ის გრძელი ჯაჭვის შთაბეჭდილებას ახდენს და ამდე-
ნადვე შეიძლებოდა „დადიანურ“ ჯაჭვებს დაკავშირებოდა.

შეორე ცნობა, უფრო ეკვ მიუტანელი და კატეგორიული ხა-
სიათისა, შეეხება ქვემოთ ენობრივი მასალებიდან მოტანილ საუბარს,
რომლის მიხედვით აფხაზეთის მცხოვრები, ას სუთი წლის მოხუცი,
მ. კვატანი, პირდაპირ ამბობს: ჯაჭვის „გალე მეჯუჯუტანდეს.
ათე ჯაჭვის ხაჯალური ჯოხოდვ ჩქინობურათ. ჭოფილი კათა ხაჯა-
ლურით კერგდე“¹.

ეს ნიშნავს: ჯაჭვს „გარეთ გასკვნიდნენ. ამ ჯაჭვს ჩევნებურად
ერქვა ხაჯალური. დაპატიმრებული ხალხი ება ხაჯალურით“. შეგ-
რული ზრდა „ჯუჯუტუა“, „მუჯუჯუტუა“ ნიშნავს მსხვილ, უშნო ნას-


¹ მაკარ ხუბუა, „მეგრული ტექქსტები“

კვის გაკეთებას, ისეთი რამის გამოსკენას, რაც ნაკლებ ელასტურია. და უშნო, მსხვილი ნასკვი გამოუდის. ამგვარად დადასტურებულია ისეთი დასაპატიმრებელი და ყელზე დასადები ჯაჭვის ისტორიულად არსებობა, რომელსაც თავისუფალ (გარედან გასატან) ბოლო ნაწილში რგოლი არა აქვს სრულიად; სამაგიეროდ, გარეთ გატანის შემდეგ გაინასკვება ის, რითაც დასტულია საშუალება, გაუხსნელად მისი კვლავ ნახერეტიდან შიგნით ჩატანის შესახებ. ასეთი თავისებური კონსტრუქციის-და მიუხედავად, მასაც ეწოდება „საჯალური“ („ჩვენებურად ერქვა ხაჯალური“, ამბობს ის).

როგორც თავის აღილას მოცემული ენობრივი მასალებიდან ჩანს, არსებობდა კიდევ სხვადასხვა ტიპის კისერზე დასადები და ამ სახით ადამიანთა დასაპატიმრებელი ჯაჭვები, მაგრამ მათ საერთო სახელწოდებად ხმარებულია „ხაჯალური“. ყოველ შემთხვევაში საჭიროა აღინიშნოს, რომ არსებობდა, მაშასადამე, ისეთი ჯაჭვი, კისერზე დასადები, ხაჯალურის ტიპის, რომლის ბოლო ნაწილი მოკლებულია რგოლს, სამაგიეროდ მას აქვს მეტი სიგრძე, ვითრე ჩეულებრივი ხაჯალურის ჯაჭვის, და ერთერთ ასეთ ნიმუშად წარმოიდგენილია სწორედ სახელმწიფო მუზეუმის „დადიანური“, რომლის ყელზე შემოსაკრავ ნაწილში დატანებული რგოლისებური ენა, რაშიაც უნდა გატანილყო ტან-ჯაჭვი მთლიანად, ამ უკანასკნელზე მეტი დიამეტრის შემცველ რგოლს (რაც ჩეულებრივია „ხაჯალური“-ს ჯაჭვისათვის) ვერკერ გატარებდა თავის წრეში, როგორც ეს ჩანს წარმოიდგენილ სურათზედაც. ამ ჯაჭვის სიგრძეა 6 მეტრი და 60 სანტი. (იქვე მოთავსებულია იმავე კონსტრუქციის მცირე ჯაჭვი, რომელსაც ახლა ხმარობენ სამეცნიეროში ცხენის ბორკილად სახელწოდებით „აბუდანი“) (ის. სურ. 4, დადი. ნური).

როგორც შედარებიდანაც ჩანს, ორივე ჯაჭვის – „ხაჯალურის“ და „დადიანური“-ს ყელზე შემოსაკრავი და კისერზე დასადები ნაწილი თანაბარი კონსტრუქციისა, მათ შორის განსხვავება არ არის; ის შედეგება სამი ნაწილისაგან: პირველი არის ტანჯაჭვზე მიმაგრებული, კისერზე დასადები, ნახევარ-რკალისებური ბრტყელი რკინა; მეორეა ამ უკანასკნელის ერთ თავზე მოძრავად მიბმული ყელზე ამოსადები რკინისავე ენა მთელ თავის სივრძეზე ფარდალად მოცემული, რომელშიაც გაყრება ხოლმე მესამე ნაწილი (იმავე კისერზე დასადები რკინის მეორე თავზე აგრეთვე მოძრავად მიბმული); ამ უკანასკნელის თავისუფალი თავი რკინისებური სახით მოცემული, დანიშნულია, – ენის ფარლალაში გაყრის შემდეგ – ტანჯაჭვის გასატარებლად, რომ ერთმანეთში გატარ-გამოტარებით მთლიანად შეიკრას კისერზე შემოსალტული ნაწილები; ხოლო, რაკი

ამ პროცესში უკანასკნელი ეტაპი ტანჯაჭვების გატარებით არის მოცემული, ამიტომ მისი თავისუფალი ბოლო ნაწილის შიგნიდან გარეთ გატანით და იქ დამაგრებით (თუ რგოლანია, დირეს გაყრით, თუ არადა, ჯოხზე მიბმით, ანდა გადანასკვით) სრულდება აღამიანის. ამ წესით დაპატიმრების წესები.



სურ. 4. დადიანური

3. ამავე კატეგორიის ჯაჭვებში შემოდის, როგორც მატერიალური კულტურის სათანადო ნიმუში, ქრისტეფორე ქასტელის კოლექციიდან ჩვენამდე მოღწეული ერთი სურათი, რომელზედაც დახატულია ყელზე ჯაჭვებმული პიროვნება, სათანადო იტალიური წარწერით; ხოლო ეს უკანასკნელი კი მიხ. თამარაშვილის გაღმოთარგმნით იკითხება შემდეგნარად: „სისაუს სოფია, კეთილშობილი მეგრელი. ამან ერთი ქვრივი დედაკაცი გაძჟურდა. იმანაც მოტყუებით შეიძყრო და დაატყვევა. ახლა გლოვობს: ვაი, ვაი ჩემი უბედურობა, რა დამემართა, ერთმა ქალმა დამიჭირა. ვაი, ვაი, ვაი“. (იხ. სურ. 5.).

A) რიტუალურ წესებთან დაკავშირებით ხმარებულ ჯაჭვებით დან იმავე სახელმწიფო მუზეუმში მოიპოვება რამდენიმე სახეს ნიმუში, საიდანაც ჩვენი კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვანი მომენტების შემცველად უნდა იქნეს დასახელებული:

1. გორის ჯვარიდან ჩამოტანილი ჯაჭვი, საშელტოლებით „დაწიანი“, სიგრძით უდრის 3,50 მეტრს, კოლექციის № 10-ა. ის შოგვაგონებს ხაჯალურის ტიპის ჯაჭვებს თავისი კონსტრუქციით თავს და ბოლოში—კისერზე დასადები ბრტყელი ნახევარ-რკალისებური რკინის ნაწილით და ჯაჭვის მეორე თავში დატანებული რგოლით. მხოლოდ ეს კა, რომ სიღილით (და სიმძიმითაც) ის ერთობ თავისებურია და განკუთხნილია „შეწირულთათვის“. დაიდებდენ კისერზე ამ მძიმე ჯაჭვის ერთ თავში მოძრავად მიბმულ ნახევარ-რკალისებური ფორმის რკინს, რომლის მოკაუჭებულ ბოლოში ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე ტანზე შემოხვეული ჯაჭვის რგოლს. ამგვარად, მთელი ამ ჯაჭვით ტანზე შემოხვეული და კისერთან შექრული უვლიდნენ გარშემო სალოცავ ადგილს.

2. ამავე მიზნისათვის გამოყენებულ ჯაჭვთა შეორის დავასახელოთ ისეთებიც რომელებიც უდგებიან ხაჯალურის ტიპის ჯაჭვებს კისერზე დასადებ ნაწილით, ხოლო რგოლის მაგივრად შეუაბამისად დატანებული აქვთ მეორე თავში რკინის ხოლი. ასეთი ჯაჭვების შიმუშებია:



ა) „არბო“—სურ. 7. (არბოდან ჩამოტანილი)

ურადღების ლირითა ის გარემოება, რომ ყველა ეს (და სხვებიც) რიტუალურ წესებთან დაკავშირებული ჯაჭვები ლოკალიზებულია მხოლოდმახოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში შემავალ სხვადასხვა რაიონში, ხოლო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კი არც ერთი.

რიტუალური წესებისათვის გამოყენებულ ჯაჭვთა სხვადასხვა სახეობის—და მიუხედავად, როდესაც ჩვენ წინაშე დგება საკითხი მათი ადამიანთა დასასჯელ ჯაჭვებთან (ხაჯალური, დატანური) ურთიერთობის შესახებ, ამ შემოხვევაში შესაძლებელია დავუშვათ, რომ ამ თრი სხვადასხვა ფუნქციისათვის გამოყენებული ჯაჭვები (ადამიანთა დასჯა ერთი მხრით, და „თავის შეწირვა“ მეორე.



სურ. 5

„სიასუსი სოფება, კეთილშობილი მექრელი. ამან ერთი ქვრივი დედაკაცი
გაპეტრდა. იმანაც მ. ტუშებით შეიძროთ და დატყვევეთ. ახლა გლოვოსს:
ვაი, ვაი ჩემი უბედურება, რა დამემართა. ერთმა ქალმა დამიჭირა. ვაი,
ვაი, ვაი“.

მხრით) ერთი და იმავე სათავიდან მომდინარეობდეს და, მაშასა-დაცე, გენეზისი მათი იყოს ერთი და იგივე. ყოველ შემთხვევაში, ამ გენეზისის ძრებისათვის ბუნებრივი იქნებოდა სწორედ აქ დამტკლიყო საკითხი იმის შესახებ, თუ ამ რიტუალურ წესებთან დაკავშირებით „შეწირულთა“ ჯაჭვებით შეკვრის პროცესი ხომ არ შეიძლებოდა დაკავშირებოდა წარმართული ეპოქიდან მომდინარე გადანაშთების რაიმე კონკრეტ სახეებს?



ბ) „ზერტი“—სურ. 8 (ზერტიდან ჩამოტანილი)

როგორც ცნობილია, ქრისტიანული კულტურის სფეროში არა იშვიათად ყოფილი დადასტურებული ფაქტი, წარმართული ეპოქიდან მომდინარე ელემენტების ამა თუ იმ სახით შენარჩუნების შესახებ. ეკრძოლ, რაც შეეხება ამ ორი სხვადასხვა დანიშნულების ჯაჭვთა წარმოშობის საკითხს, შესაძლებელია ის დაუკავშირდეს წარმართულ ეპოქაში. არსებულ იმ ჩვეულებას, რომელიც გულისხმობდა ადამიანის ჯაჭვით დაბმას და მის მსხვერპლად შეწირებას, რაც ცხოველი სურათებით აწერილი აქვს გათქმულ სტრაბონს თავისი უგეოგრაფიის “მესამე თავში („ალბანიის აღწერაში“) შემდეგნაირად: (მოყავს: პროფ. ივ. ჯავახიშვილის თარგმანით)

„ალბანელები ღმერთებსავით თაყვანს სკემენ მზესა, ზეესა და მთვარეს, მეტადრე მთვარეს. მთვარის ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ცველაზე უფრო პატივცემულ კაცად ის ითვლებოდა, ვინც ტაძარს ემსახურება; იგი დიდსა და მციდროდ დასახლებულს ხატის მამულს განაგებს და ხატის ყმების უფროსად ითვლება, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებს ხოლმე; იმას, ვინც ატაცებული მარტოკა დახეტიალებს ტყეებში, ქურუმები დაიტერენ, კი ისერზე ჯაჭვს და დებენ და ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად კარგა ასუქებენ. ხოლ-

მე; მერე მას, მირონცხებულს, სხვა საღმთოებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირავენ ხოლმე“¹.

როგორც აქედან ჩანს, მაშასადამე, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში (ახალი ერით) ჯაჭვი გამოყენებულია ადამიანის შესაკრავად, მის დასაპატიმრებლად. მართალია ამ ჯაჭვის სრული აღწერილობა სტრაბონის შიერ არ არის მოცემული, მაგრამ აშეარად შითითებულია იმაზე, რომ შეპყრობილი კაცი, ღვთაებისადმი შესაწირავად მიჩნეული, დაბმულია მთელი წლის განმავლობაში, სანამ მისი განგმირვის დღე დადგებოდეს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩვენ საჭირო გვაქვს აღამიანთა დასაბმელად, მის. კისერზე დადებით ჯაჭვის გამოყენების ფაქტთან.

დროთა განმავლობაში იცვლება ყოველგვარი ზედნაშენი და ამა თუ იმ სახის იდეოლოგიური მონაცემი. კერძოდ, რელიგიაც ჰყარგავს უამთა ვითარებაში თავის პირვანდელ წესებს, ფორმებს და მისი ცალკეული მომენტები ახალ ფუნქციებში გვევლინება ხოლმე. ქრისტიანობის გაერცელებასთან ერთად ბენებრივია თანადათან მოსპობის გზაზე დამდგარიყო რომელიმე ღვთაებისადმი ცოცხალ აღამიანთა შეწირვის ჩვეულება საერთოდ, ხოლო კერძოდ ადგილი არ ჰქონდა მათ ჯაჭვებით დაბმას და მასთან დაკავშირებულ წესებს. ამიტომ, ცხადია, რომ წარმართული ხასიათის რელიგიური კანონები და წესები ერთბაშად კი არ ეძლეოს დავიწყებას, არა მედ ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ფორმით გაღმოდიოდნენ ხოლმე ახალ აპოქაზიც და თავისებური ნუანსის შენარჩუნებით კვლავ აგრძელებდნენ ახალი წყობით შეცვლილ ძველი ტრადიციების ზოგიერთ დამახასიათებელ შტრიხებს. ამიტომ, არ არის გასაკვირი, თუ წარმართული ეპოქიდან აღებული ისეთი თვალსაჩინო მომენტი: როგორიც არის აღამიანთა მსხვერპლად შეწირვა, ამასთან დაკავშირებული წესებით, მთლად უმნიშვნელოდ ვერ გამქრალიყო ერთბაშად და გაღმოსცემოდა მომდევნო ისტორიულ სიტუაციას თავისებურად შეცვლილ ტორმებში.

მართლაც-და, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც-სცენაზე გამოიდის ქრისტიანიზმის წესებთან შეხამებული, ხოლო არსებითად კი წარმართული ეპოქის გადანაშების ესა თუ ის ფაქტი. თუ წინეთ, წარმართობის დროს, ჯაჭვით აბამდნენ აღამიანებს

¹ პროფ. ივ. ა. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნ I, ვე 106 (სტრაბონი, Geographica, lib. cap. III, 7).

და ღორივით ასუქებდნენ ლვთაებისადმი შესაწირავად, ამიერიდან, ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად, ეს წესი ისპობა ამ სახით, მაგრამ გვევლინება კი მეორე სახით—ნებაყოფლობით „თავის შეწირვის“ სიმულაციად იქცევა ხოლმე; არსებითად კი, ამ შეცვლილ ფუნქციითაც, ძალაში ჩეხება ის პრინციპი, რომელიც საჩულად ედო ადამიანთა მსხვერპლად შეწირვას და რაც გამოიხატებოდა ქურუმთა ორგანიზაციის ეკონომიკურად და პოლიტიკურად განმტკიცების საქმეში. ცხადია, მაშასადამე, რომ ქრისტიანობის იფიციალურ წარმომადგენელთა ხელში ამ ჯაჭვებთან დაკავშირებული მთელი რიგი რიტუალური წესები წარმოადგენდნენ მშრომელი ხალხის დამონებისა და ყვლეფის ერთერთ საშუალებას. ახალ ვითარებასთან შეფარდებით ასეთი ფუნქციის შენაცვლების ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ის ჯაჭვები, რომლებიც მრავლად მოიპოვებოდნენ საქართველოს ფარგლებში არსებულ სალოცავ ადგილებში და რომელთა შესახებ სათანადო ადგილას უკვე იყო მოცემული რამდენიმე ცნობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოთავსებულ ჯაჭვებიდან.

ყველაფერი ის, რაც ითქვა რიტუალური ხასიათის წესებთან დაკავშირებული ჯაჭვების შესახებ, ეხება მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოში კი ასეთი მოვლენა თითქო არა ჩანს; ყოველ შემთხვევაში დღემდე გამოქვეყნებული და ჩემთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით არ გვაქვს უფლება, ვილაპარაკოთ დასავლეთ საქართველოში ჯაჭვებთან დაკავშირებული რიტუალური წესების შესახებ. სამაგიეროდ, როგორც უკვე წარმოდგენილი საბუთებიდანაც ჩანს და (განსაკუთრებით თეალსაჩინო და ფრიად მნიშვნელოვანი სურათი გაიშლება ჩვენ თვალშინ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში მოყოლილ ენობრივ სინამდვილეში არსებული ფაქტების გაშექების დროს) ისტორიული წყაროებიც ამას აღასტურებენ, დასავლეთ საქართველოში ძალიან ფართოდ გავრცელებულია ხაჯალურის ტიპის ჯაჭვები, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა ადამიანთა დასვა, მათი დაპატიმრება და სხ.

ამგვარად, მაშასადამე, შეუძლებელი არ უნდა იყოს ამ ორი, სხვადასხვა ფუნქციისაოვის დანიშნული ჯაჭვების გენეტურად ერთმანეთთან დაკავშირება და მათი საერთო სათავის მოძებნა.

III. გადავიდეთ ახლა მესამე კატეგორიის წყაროებზე.

მესამე კატეგორიის წყაროები, საიდანაც საჭიროა სათანადო ცნობების მოპოვება ჩენი საკვლევი ტერმინებისათვის, ეს არის ქართული დალექტები, ცოცხალი ენობრივი მასალები. ამ მხრივ, სპეციალური კვლევა-ძიების ჩატარების გარეშე ძნელია თქმა, თუ რო-

შელ დაკალექტური უნდა იყოს შერჩენილი საძიებელი ტერმინი (თუ ტერმინები) ამა თუ იმ მნიშვნელობით. არსებული მასალების მიხედვით კი ოთხქმ შესაძლებელია ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ენობრივ სინამდვილეში (იგულისხმე ქართული ენის დიალექტები) „ხაჯალურის“ არსებობა დადასტურებული არ უნდა იყოს ჯერჯერობით მაინც; ხოლო, რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ქართულად მოუბარ მოსახლეობას, იქ მდგომარეობა სხვანაირია: ირკვევა, რომ მთელ რიგ რაიონებში ტერმინი „ხაჯალური“ იქ ჯერ კიდევ ცოცხალია (სხვა საკითხია, თუ სად როგორ არის წარმოდგენილი მისი ფუნქციები, მატერიალური შედეგენილობა და სხ.). ასე, მაგ., ჩემ მიერ უშუალო დაკვირვების შედეგად მიღებული ენობრივი შასალების მიხედვით გამოიდის, რომ სსენებული ტერმინი დღემდე შენახულია, სამეგრელოს გარდა, ზემო აჭარაშიაც; სამურჩხანო-აფხაზეთშიაც და სხვ. სწორედ იმავე გაგებით, როგორც ეს დადასტურებულია სამეგრელოში (ს. კურზუ) ჩაწერილი ტექსტის მიხედვით.

საამისოდ მოვიტანოთ ორიოდე ამონაშერი სათანადო ტექსტებიდან (ქვემო მოტანილი ნაწყვეტები წარმოადგენენ ჩემ მიერ უშუალოდ ადგილებზე ჩაწერილი მასალების ნიმუშებს).

ა) ზემო აჭარულიდან:

1. „იმ ღრუში (ძევლად, მ. ხ.) იყო ზენჯირი, კანდალი. ზენჯირი იყო (რ)კინის ჯაჭვი, იქნებოდა უკანასკნელი სუთი არშინი სიგრძე, შეტიც. სიძმის იქნებოდა ცუთი, ნახევარ ფუთზე ნაკლები არ იქნებოდა. კისერზე დაადებდენ დამაზავენ. ქვეშ სახის სადგომია ტუსალებისა — პაფინანა, ზედაი დიდუანების სადგური. იმ ზენჯირის თავი იქ იყო გამობმული, უმტროსის, ზენჯირჯის სადგურში. ჯაჭვის თავს რგოლი ჰქონდა. რომ ამოიტანდენ, გაუყრიდენ ჯობს, კეტს. გძელია ჯაჭვი და პოლზე გდია“¹ (შედ. ბერულას ცნობას).

მათქვამი — ფ. მეხეშიძე, 56 წლის, სოფ. ქედლები, ხულოს თემი, (1926 წ.).

2. „ძევლი დედაბრები რომ გაბლუზდებოდნენ, გულმოსლის დროზე იტყოდენ — ხაჯალური დამაბე კისერზე! — ეითომ, წამაბი და დამარჩევოთ.

თაერობა მაშინ ამას ზენჯირს ეტყოდა. კისერზე დასადები იყო გული კინა და დუუკლეტდენ ბოუვით. ერთი თერეფიდან (მხრიდან, მ. ხ.) მობმული იყო ზენჯირი. იმითანა იყო — ოცდათექსმეტი იყა, ვერ ზიდავ, იქნები და იქნები! იმფერიც იყო, რომ ნაკლები იყო;

¹ იხ. მაკარ ხუბუა. „ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა“, ბათომი, 1932; გვ. 36.

ოდი ოდა რომაა, იქითა ოდაშია გასული, იქ ჯოხს გუუყრიან. იმ ზენჯირსა ცალიბაბა ერქვა თათრულა. დაადვეს ცალიბაბაო, იტყოდენ. ამას ექ ეტყოდენ „ხაჯალაურს“¹.

შ. ს. ქათამაძე, 70 წლის, ს. დუშეთიანა, (1926 წ.).

3. „ვინც რომე ჰაფუ იქნებოდა, იმას დაადებდენ ბოყვს. ჩვენ ტუსალები ვევეით ვიყავით, ზეით იყვნენ ზაფთიები—ზენჯირის თავს ცევდენ, ზაფთიხანა (sic) ჭერი გამოჭრილი იყო და იქ ეიტანუნ (ზენჯირს) და დაადებდენ ბოყვს. ზენჯირის ზედა თავს ჭონდა რგოლი. მაგას ეტყოდენ ხეჯალაურს, ხაჯალაურს. ქალი ქალს ეტყოდა:—„ჰათ ქვავს შვილიო, ან ქმარი?—ხაჯალაური ადვია, ჰაფსია და ხულაშია, ჰაფსიხანაშიო“².

ქ. ს. ცენტრაძე, 60 წლის. ს. ცენტრაძეები. ჭვანის თემი, (1926 წ.).

სანამ სხვა ენობრივი მასალების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, უეპერდეთ აქ მოტანილი ამონაწერების მოქლე ანალიზზე, რაღაც სათანადო შაგალითების თანდათან გამჩავლების პროცესში უფრო ძნელი იქნება იმ თავისებურებათა ნუანსების წინ წამოწევა და ხაზგასმით აღნიშვნა, რაც მეტად შეუწყობდა ხელს საკითხის გარკვევაში მეტი კონკრეტულობისა და დამაჯერებლობის შეტანას.

მოტანილი მასალები ჩემ მიერ დაღაგებული ჩაწერის რიგის შიხედვით და საყურადღებოა, რომ პირველი მათქვამის ცწობა, მისი აღწერილობა, კისერზე დასალები ჯაჭვის შესახებ მოცემული, პირდაპირ უდღება იმ სურათს, რომელიც თავშია მოცემული შეგრული გლეხის საუბრის სახით და რომელიც, მაშასადმე, იძლეოდა სტრულს მთელი მომდევნო კვლევაძიებისათვის. აქარლის მეტეველებაში ზესტად ალბეჭდა ხაჯალურის ჯაჭვის ჩვეულებრივი კანისტრულება თავისი რგოლით, სიგრძით და სხ. სწორედ ამ უკანასკნელ მდგრადირეობის დამახასიათებელი ფრაზებით ხურავენ თავიანთ მოვონებებს როივე მათქვამი, როგორც მეგრელი — კურჩუდან, ისე აქარლი — ხულოდან: „სარაგდგ დიხას უქულნეშის“ (იხ. ზემოთ, გვ. 125) — ეყარა მიწაზე შემდეგ — „გძელია ჯაჭვი და პოლზე გდაა“ (პირველი მათქვამის უკანასკნელი ფრაზა აქარულიდან). ასეთი ნიშანდობლივი აღწერილობის მოცემის-და მიუხედავად, პირველი აქარელი ასახელებს ამ იარაღს, როგორც უბრალო ჯაჭვს, ზენჯირს. მისთვის სპეციალური სახელწოდება, ამ დასაპატიმრებელი ჯაჭვის. მიმართ ხმარებული, უცნობია, მან ის ვერ ახსენა. ხოლო დანარჩენებმა კი იციან

¹ იქვე, გვ. 26.

² იქვე.

ეს სპეციალური სახელწოდება და გარდა ამისა მათი ცნობის მიხედვით ისე გამოდის, რომ ეს ჯაჭვები ყოფილა აჭარაში ხმარებული სხვადასხვა სახის. ასე, მაგ., მეორე მათქვამის მიერ მოცემული ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ხმარებაში ყოფილა ისეთი დიდი და მძიმე ჯაჭვიც, რომლის ზიდვა შეუძლებელი იყო — ვერ ზიდავ, იქნები და იქნები! იმფერაც იყო, რომ ნაკლები იყო, — ამბობს ის და სწორედ ამ ნაკლები ჯაჭვების ღრმულობაში ემთხვევა მისი ცნობები ხაჯალურის შასახებ მრავლად დადასტურებულ მასალებს. ხოლო რაც შეეხება მძიმე ჯაჭვის ფუნქციებს, ის ალბათ გამოყენებული იქნებოდა საშიშ ტუსალების მიმართ (შეადარე ლამბერტის ცნობა, ზემოთ, გვ. 127).

მნიშვნელობას არ არის მოკლებული ის გარემოებაც, რომ ჩემ მიერ დადგენილი ფაქტების მიხედვით, ეს ტერმინი ლოკალიზებულია გურიასთან ახლო მდებარე აჭარის სოფლებში; მაშინ, როდესაც, ომალეოთის საზღვრებისაკენ მოცემულ რაიონებში ის თითქოს არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში ჩემ მიერ შენიშნული არ ყოფილა. საფიქრებელი კია, რომ ეს ტერმინი უფრო ფართოდ ყოფილიყო გავრცელებული აჭარის რაიონებში. განსაკუთრებით პოპულარული ჩანს ეს ტერმინი ქალთა შორის. საქმე იმაშია, რომ მეორე მათქვა-მი, ქათამაძე, პირდაპირ ქალთა წრიდან იწყებს თავის საუბარს — „ველი დედაბრები რომ გაბრეზდებოდნენ, გულმოსლის დროშე იტყოდნენ — ხაჯალური დამაბე კისერზეო! — ვითამ წამია და დამარჩევიო“. ცხადია, იმდენად ჩემულებრივი ყოფილა ეს ტერმინი ქალთა ენისათვის, რომ მათქვამის ცნობიერებაში ამ სიტყვის ხსნება პირველად ყოვლისა ქალთა საზოგადოებასთან არის დაკავშირებული. „თავრობა მაშინ ამას ზენჯირს ეტყოდაო“, ამბობს ის. სამწუხაროდ, მე ისეთ დროს მიხდებოდა ადგილობრივ მუშაობის წარმოება, რომ შეუძლებელი იყო ქალთა საზოგადოებასთან დაახლოება და სათანადო მასალების ჩაწერა. ჩემ მიერ ზემო აჭარაში ჩაწერილ, არა მცირე მოცულობის, ენობრივ მასალებში სრულიად არ არის მოცემული ქალთა მეტყველების ნიმუშები. ამ მხრივ მდგომარეობა ახლა პირდაპირ ჩინებულია და უნდა ვიფარით, რომ ეს ხარვეზიც ამოიგუსტა თანდათან. რომ ეს სიტყვა (ხაჯალური) ქალთა შორის უფრო უნდა იყოს შენახული და დაცული, ამას თავის მხრივ მოეპოვა ბუნებრივი გასამართლებელი საბუთები, რადგანაც ქალები უფრო მეტ კონსერვატულობას იჩენენ ხოლმე ენისა და ზნეჩეულების შენახვის საქმეში, ვიდრე მამაკაცები. ამიტომ, ბუნებრივია ის ისტორიული კოლორიტი და საყოფაცხოვრებო დეტალი, რომელიც მოჩანს ხსნებულ აჭარელთა სხარტულ გამოთქმებში.

ყურადღების ლირსია ამ შხრივ ის გარემოებაც, რომ მესამე მათქვამი აგრეთვე ქალთა წრეში ტრიალებს, როგორც კი საუბრის დროს შემთხვევით წააწყდება თავის მოგონებებში პატიმრობის ამბავს, და თავის მნიშვნელოვან საუბარს პატიმრობის შესახებ ხურავს სწორედ ქალების დიალოგით: „ქალი ქალს ეტყოდა—პათ ქყავს შვილი, ან ქმარი?—ხაჯალური ადვია, პაფსია და ხულაშია, ჰაფსისანაშიო“.

(ბ) სათანადო ნიმუშები მეგრელთა მეტყველებიდან (ჩემ მიერ ჩაწერილი სამურზავნოსა და აფხაზეთში):

1. ოგაფაშ ქური ვაიძირუნო? თიჯვაუშა ინუძღდგ კუჩხი (კოს). ჭოფილ კათას ამსერი კუჩხის გეიონწუნდეს ხუნდის დო ხაჯალურით ქადაკურანდეს. ჯამონ ვა დანჯგრედგ ი კოს; ჯას დუთხინუანდეს კუჩხის. დო კვერს რეკინა გოძგდგ, ნაბადია გოჭელი მიკი-მიკი. გალენ ოსქვალი დო დანახალენ ოსქვალმო შირი ორგია ქსულდგ. გალე მეჯუჯუნ-ტანდეს (მესქუნდეს). ათე ჯაჭვის ხ ა ჯ ა ლ უ რ ი ჯოხოდგ ჩეინობურათ. ჭოფილი კათა ხაჯალურით კურგდე. ოჭემარეს კუნი გეიონწუნდეს ხაჯალურს დო კუჩხენს ქენუდგუნდეს ხუნჯიშა დო ორდგ კოჩი.

მ. კუატანი. 105 წლის. ს. კოჩარა. 28. VII. 1933.

თარგმანი:

სახნავა კავის ქუსლი არ გინახავს? ისეთივეში ედვა ფეხი (კაცი).

პყრობილ კაცებს ამერამ ფეხშე დახსნიდნენ ხუნდს და დააბამ-დნენ ხაჯალურით. ხის ამარა ვერ დაწვებოდა ის კაცი, ხეს ჩამოა-ცლიდნენ ფეხს და კისერზე შემოეკვრებოდა, გარშემო ნაბითით შემო-ხვეული, რეკინა. გარედანაც და შიგნილანაც შესაკვრელ ნაწილებთან ერთად იქნებოდა ორი მხარი (სიგრძით), გარედან შესკვნიდნენ. ამ ჯაჭვს ხაჯალური ერქვა ჩევენებურად. პყრობილი ხალხი ხაჯალურით ება. დილით კვლავ დახსნიდნენ ხაჯალურს და ფეხებს ხუნდში უდგავდნენ და იყო კაცი.

2. ქიმერთ [ზოშიე] ზღვა პიჯიშა დო ათაქ ქოძირგ ვითოვერი (ნ) დემუფი კურგნი ხაჯალურეფით, ჯაჭვეფით, კაზარმის, ზღვა პის.

— უჩაში დემია ქემურს თაქია დო ართის ოჭკომუნს. მნადირგ-შა მიდართე, პარახეფი მეცუნს, — (ჯოლორეფი ჩოფე დიდ-დიდი) — ზუშ დემქ ბოშის.

ფურკი ქემურსენ ქოძირგ დო პარახეფქ ქეგუდირთგნ, ლეკური მუქრიუ დო გრძლ უირხოლო.

— მუ კოჩიექ, ჩეიმი პარახეფი ჩვილიე?

გოტახ ხაჯალურეფი დო გაათავისტალ ენეფი¹.

ო. ტ. გაბელია, 72 წლ. მერხეული, 16. VII. 1933.

¹ იბ. მაკარ ხუბუა, „მეგრული ტექსტები“, 114

თარგმანი:

— მივიღა (ახალგაზრდა) ზღვის პირას და აქ ნახა თორმეტი დევი ხაჯალურებით რომ აბია, ჯაჭვებით, კაზარმაში, ზღვის პირას.

— უფროსი დევიო მოვა აქა და ერთს შეჭამსო, სანადიროდ წავიდა, პარახები მიყავს (ძალლები ყოფილა დიდ დიდი) — (უთხრა დევი ახალგაზრდას).

დაინახა ბული რომ წამოვიდა და პარახები რომ გარს შემოუდგნენ, მოუქნია ხმალი და ორივე გაბო.

— რა კაცი ხარ შენ, ჩემი პარახები რომ დახოცეო?

დაამტვრია (ბიჭმა) ხაჯალურები და გაანთავისუფლა ესენი.

3. დოჭეკადითია ხაჯალური ლინჯიში ათას ხუთოში საჯენია.

დოჭეკადეს ხაჯალური, დოხეშე ბოშიქ დო ქიდკიკირუ,

ქიგნმაჯინასია ჩქიმი გაჭირებასია (შეუჩინგ რაშიქ ხენჭეფეს) — დო ქვაბიშა ხაჯალურით ნიჩეი ქიმკომეირია გვალო ხოლოს. სია თეურე ნება გეიშელია დო უკული ფერ შურს მეუბარქია მა თე ქვაბისია — დუვორგილუანქია. (უწუ ბოშის).

ტ. კვარაცხელია, 80 წლ. ს. ნაა, 20. VII. 1933

თარგმანი:

— გამოკვერეთ სპილენძის ხაჯალური ათას ხუთასი საჯენი.

გამოკვერეს ხაჯალური, დაახვია ახალგაზრდამ და უქან (უნაგირზე) შემოიკრა.

— გადახედოს ჩემს გაჭირვებასო (შეუთვალა რაშმა მეფეს) და ქვაბთან ძალიან ახლოს მიმაბი პირითო. შენ იქიდან ნებართვა გამოიტანე და შემდეგ ისეთ სულს შეუბრერავ მე ამ ქვაბსა — გავაციებო.

4. დანაშენდგ მითინ მუთმსენ, ოჭოფუნდეს დო ხაჯალურს ქუდვანდეს, კესერს გინუცოთანდეს დო მაასქე ართიანს, ართი ხაჯალურიენო! ბრელიე. მაასქე ართიანს დო ათაშ მეუხენა „ვავა“ — ში მარაგადე შორო.

გ. ფშავარია, 80 წლ. ს. აჩიგვარა, 6. VIII. 1933.

თარგმანი:

„ვინმე რამეს რომ დააშავებდა, დაიჭირდნენ და ხაჯალურს შეაბამდნენ, კისერზე გადაუდებდნენ და გადამშულია ერთმანეთზე. ერთი ხაჯალური ხომ არ იყო? ბევრია. მიბმულია ერთმანეთზე და (პატიმრები) ასე სხედან (პირისპირ) მოტირალე ხალხის მსგავსად (ძველად მიღებული ჩვეულება მიცვალებულის კუბოსთან).

5. ხაჯალური ქოგამგონებზ თექეთ, თი დოხორეს, მედანახეს: ჩიჩუენს, პატონსქუალენს, ფალენს, — თექეთ ბრელიშა გეუმუნუაფენა ხაჯალური.

3. ლუკა — 100 წლ. ს. აბუაყებ, 13. VII. 1933.

თარგმანი:

„ხაჯალური; კი, გამიგონია. იქაც, იმ სასახლეში, მედანა-ზეში—ჩიჩუებს, დაღიანებს, ფალავებს — იქაც ბევრისთვის შეუბაძთ ხაჯალური“.

მოტანილ მაგალითებიდან, ოთხი გარეკვეით მიუთითებს ხა-ჯალურზე, როგორც ადამიანთა დასასჯელ იარაღზე—კისერზე დასა-დებ ჯაჭვზე. ერთი ამ მათქვამთაგანი მნახველია ისეთი სკრატის, როდესაც ხაჯალურით დამზულია რამდენიმე კაცი, ზედი-ზედ ერთ-მანეთზე მიკრული.

ამავე მაგალითებში ყურადღების ლირსია ის გარემობა, რომ მეორე მათქვამის მიხედვით ეს ხაჯალური გამოყენებულია დევთა დასაბმელად; მაშასადამე, ხმარებულია ზღაპრული სიუჟეტის გასა-შლელად, რეალურ სინამდვილეს დაშორებულ ამბგბან, მაგრამ, ამის-და მიუხედავად, მაინც გაგებულია იმავე ფუნქციებითა და მნიშ-ვნელობით, როგორც ეს ხმარებულია აჭარაშიაც. არის განსხვავე-ბაც: ხაჯალური, როგორც ჯაჭვი, გამოყენებულია ზღაპრული ცხე-ნის—არაშის დასამორჩილებლად და დასაბმელადაც. საამისო მაგა-ლით წარმოდგენილია ზემო მოტანილ ამონაწერებიდან მესამე მათ-ქვამის მიერ (მეგრული ენის მასალებიდან, რომელიც აფხაზეთში იქნა შეგროვილი); ცხადია, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ხაჯალურს ეკისრება სულ სხვა ფუნქცია, ვიდრე ეს არის წარმოდგენილი სხვა მრავალ შემთხვევაში ადამიანთა დასაპატიმრებლად გამოყენების-დროს. ყოველ შემთხვევაში, ამ ფუნქციონალური სხვაობის-და მიუ-ხედავად, ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები აშერად მიუთი-თებენ ხაჯალურზე, როგორც რეინის ჯაჭვზე (და არა ხის იარაღზე). მესამე მათქვამის მიერ მოცემული ფაქტის ენობრივ სინამდვილეში არსებობას მხარს უჭერს ერთერთი მათქვამი, რომლის მიხედვით „ხაჯალური უჯოხოდეს ჯვეშო დიდი, შეუ ჯაჭვიშა“ (სამსონ ქარდა, შეხვეული, 16. VII. 1933); „ხაჯალურს ემძღვენ ძველად დიდ, მსხვილ ჯაჭვს“. ანალოგიური გაგებით ეს ტერმინი არა იშვიათად არის ხმარებული იმავე რაიონებში (აფხაზეთსა და სამურისყანოში).

რომ სამეგრელოს სინამდვილეში ბატონყმობის ღრმის ხშირი მოვლენა იყო ყმების ხაჯალურით დაბმა და დაპატიმრება, ამას-სხვათ შორის ასაბუთებს უკანასკნელი (მეხუთე) მათქვამი აბუაყვალინ (აფხაზეთი), პავლე ლუკა, რომელიც ამბობს, რომ სამეგრელოში ხში-რად უსჯით გლეხები ხაჯალურის დადებით და დაპატიმრებით მება-ტონებს, თავადებს, გვარად ჩიჩუებს, დაღიანებს, ფალავებს და სხვა.

გარდა ამისა, სამურისყანოსა და აფხაზეთში ჩაწერილი მასა-ლები გარკვევით სეამენ საკითხს ხაჯალურის სხვადასხვა სახის შე-სახებ; კერძოდ, მეოთხე მათქვამის (გველითია ფშავადა) ცნობა იმის

მადასტურებელია, რომ ჯაჭვები გამოყენებულია მასიური პატიმრობისთვისაც (ისე, როგორც აჭარაში) — ერთი ხაჯალური კი არ იყო. ბევრი იყო, ამბობს ის, და საილუსტრაციოდ მოყავს მეტად მოხდენილი შედარება, ძველი წესების თანახმად, მიცვალებულის კუბოსთან ორ წყებად ერთმანეთის პირისპირ ჩაჯდარ მგლოვიარეთა მიერ გამართული მოთქმა-გოდების შესახებ.

Б) დასასრულ ენობრივ სფეროში საძიებელი ტერმინის ამათუ იმ სახით არსებობის შესახებ მოვიტანოთ კიდევ ერთი ცნობა, რომელიც თავისი ხელით დაწერა და თვაზიანად გადმომცა ლაშ-ხური ენისა (ქვემო სეანური) და საყოფაცხოვრებო საკითხების ზედ-მიწევნით მცოდნებ და მკალევარმა ა. ონიანმა. მომყავს მისი ცნობა დედნის სათანადო ნუანსების დაცვით:

— ხაჯაროული ეწოდება ლაშხურად კაცის ან ქალის და-საბორჯ იარაღს, რომელსაც დაადებდენ კისერზე და ან შეუდებდენ ფეხებში დაპატიმრებულს, რომ გაქცევის არ ყოფილიყო საშიში; ისინი ინახებოდენ დადიანების ციხე-კოშკებში და იქვე ჰყავდათ ხაჯაროულ დადებული პატიმრები. ხაჯაროული შესდგებოდა ხის მასალისაგან და ზოგი მათგანი დაყდებოდა პატიმარს კისერზე, ხოლო ზოგიც ფეხებში — და პატიმარი უნდა მჟღარიყო ალაგობრივ უმოძრაოდ და მის გამო განიცდიდა საშინელ წამებას. განსაკუთრებულ თვისების ხაჯაროულისას შეადგენდა მისი სიმძიმე, ვ. ი. იგი მზადდებოდა უმთავრესად მუხის ხის მასალისაგან.

ა. ონიანი. ტფილისი, 1934 წ. იანვრის 4.

II

შინა თავში მე უკვე შევეხე ჩემი კვლევა-ძიების იმ პოზიტურ ნაწილს, რომლის ფარგალშიაც საქმაო სიცხადით მოჩანს საძიებელ ტერმინების გასარევევად დასაყრდენი პუნქტები: ისტორიული რეალიები, მატერიალური კულტურის ნაშთები და ენობრივი სინამდვილიდან აღებული ფაქტები. ხოლო ასეთი მუშაობის ჩატარების შედეგად ჩენ უკვე ვლებულობთ გარკვეულ ნიადაგს აღებული ტერმინების ნათელსაყოფად, მათი ლინგვისტური ანალიზის სათანადო ხაზებში დასადგენად. შევეხოთ მათ ცალცალქებები.

1. „ხაჯალური“, მაშასადამე, წარმოადგენს მეგრულ ენობრივ სინამდვილეში შემონახულ ფორმას, რომლის საბადლოდ იმავე დასვლეთ საქართველოს ფარგლებში მოქცეულ, ქართულად მოუბარ რაიონებში დადასტურებულია „ხაჯალური“. ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას; აქ კი ეს ტერმინი უცხოა. მაშასადამე, ბუნებრივად იბადება საკითხი მისი ხანდაზმულო-

ბის შესახებ, სათანადო გავრცელების გეოგრაფიულ არესთან დაკავშირებთ. ისტორიული რეალიების მიხედვით შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ეს ჯაჭვები ფართოდ არის გამოყენებული, როგორც ადიმიანთა დასასჯელი იარაღი, მართლმსაჯულების ხაზითაც და კერძო პირვენებთა ურთიერთობის პრაქტიკშიაც. ამისდამიუსედავად ამ ჯაჭვების აღნიშნულია სპეციალური სახელწოლება ხსენებულ ეპოქაში ჯერ კიდევ არ ჩასათთქოს, ყოველ შემთხვევაში პოპულარული არ უნდა იყოს შეგრულ ენობრივ სინამდვილეში მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში მაინც, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იქნებოდა, რომ სამეგრელოს მაშინდელი ცხოვრების ისეთი საფუძვლიან მცოდნე, როგორიც იყო არქანჯელო ლამბერტი, ამის შესახებ იტყუოდა რამეს თავის შესანიშნავ წიგნში, „სამეგრელოს აღწერა“-ში; მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელში აღამიანთა პატიმრობისა და დატყვევების საკითხისაღმი მიძღვნილია სპეციალური თავი. უფრო მეტის თქმაც არის შესაძლებელი: საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა არ იყოს ადგილობრივი ენების მონაცემი, რადგანაც არც ერთ ისტორიული ტერატურულ ქებლში (ზემოხსენებული ვერსიის გარდა) მისი კალი არ ჩას. ამიტომ, ბუნებრივად რომელიდაც უცხოური ენობრივი სინამდვილის სამყაროდან შემოსულ ფაქტად უნდა იქნეს ის აღიარებული. თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ იბადება საკითხი: რომელი ენობრივი სინამდვილის წარმომადგენელია ის? მე ვფიქრობ, რომ არაბული ენიდან არის შემოსული „ხაჯალაური“ დასავლეთ საქართველოში („ხაჯალური“ მეგრულში).

საბუთები ამისათვის:

ა) დასავლეთ საქართველოს ქართველ მოსახლეთა ენობრივ სინამდვილეში საძიებელი ტერმინის ასეთობის დამადასტურებელ ფაქტების კვალს შევი ზღვის სანაპირო ზოლის გაყოლებით (აფხაზეთი, სამეგრელო, აჭარა) ჩვენ პირდაპირ მიყენებოთ ოურქული გზით არაბული ენის წიაღისაკენ.

შენიშვნა: ამ დებულების საწინააღმდეგოდ არაფერს ლაპარ კობს ის ფაქტი, რომ იფიციალურ თურქულ ლექსიკონებში ეს სიტყვა თითქო შეტანილი არ არის. სანამ თურქული დაალექტები მეცნიერულად შესწავლილი არ არის, მანამ არ შეიძლება დაზუსტებული ცნობების მოცემა ხსენებულ ენებში მისი ხშარება-არამარების შესახებ.

ბ) მე-17, მე-18 და ნაწილობრივ მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე შევი ზღვის სანაპიროებზე ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის გაძლიერებულმა პრაქტიკამ შეუწყო ხელი ტერმინ „ხაჯალური, ხაჯალურ“-ის დამკვიდრებას ზემოხსენებულ რაიონებში.

გ) სწორედ ამავე რაიონებიდან უნდა გამოჰყოლოდეს ეს სიტყვა, რამდენიმედ შეცვლილი სახით (ზალაჯაური), სულხან საბა ორბელიანს ევროპიდან დაბრუნების პროცესში. ქრონოლოგიურად ეს ის დრო არის, როდესაც საბას თავის ლექსიკონზე მუშაობა დამთავრებული აქვს. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ჩვენ მიურ საძიებლად აღებული ტერმინები, არც „ზაჯალაური“ და არც „დადიანური“, მის მიერ შეცვენილ ლექსიკონში შეტანილი აღარ აღმოჩნდა (იხ. ვტოგრაფიანუსებ).

დ) რომ ეს სიტყვა არაბულიდან უნდა მომდინარეობდეს, ამას ამაგრებს შემდეგი გარემოება: ქლასიკურ არაბულში დაცულია სიტყვის ძირი—ჰაჯალა. ქა (აორისტი), რაც ნიშნავს ცალფეხით რკინის ბორკილებში ხტომას; აქედან გვაქს მასდარი-ჰაჯალანუნ (შესაქრავი ჯაჭვები, ბორკილები). სწორედ ამასთან უნდა იყოს დაკაგშირებული „ზაჯალური“—ს წარმოშობა ჩვენში.

განსაკუთრებული სიზუსტით არაბულ გამოთქმას უახლოვდება აჭარული ფორმა „ზაჯალაური“, რომლის მესამე ხმოვნის ადგილობრივ ნიადაგზე ახსნა საძნელო საქმე იქნებოდა.

ე) საძიებელი ტერმინის არაბულ ენობრივ სინამდვილესთან დაკაგშირების საწინააღმდეგოდ შეიძლებოდა თითქოს გამოყენებულიყო დაბოლოება „ურ“, რომელიც დაემთხვა აღგილობრივი წარმოშობის სუფიქსს. მაგრამ ის გარემოება, რომ მოცემული არაბული სიტყვის უკანასკნელი ძირეული თანხმოვანი არის „ნ“ (ლიკვიდ „ლ“—ს მოდევნო), განუსაზღვრულობის მაჩვენებელ ნუნაციის დართვით ქმინის შესაძლებლობას დაუშეათ, რომ მთელი ეს დაბოლოება დაკაგშირებულია ტერმინის არაბულ სახეობასთან, თუმცა გამაგრებული კია ქართველურ ენებში ხმარებულ აღექტურ ფორმათა მაწარმოებელ იმავე ს.ხის (ურ) სუფიქსის არსებობით.

2. ტერმინი „დ დაანურ“ ნაწ რმოებია ფუძისაგან „დადიან“ ზემოხსენებულ, სადაურობისა (ან წარმოშობის) მაჩვენებელ, „ურ“ სუფიქსის დართვით, და წარმოადგენს აღექ ზივს (მსახლვრელს), რომლის სასაზღვრი („ჯაჭვი“) ჩამოშორებია მას. აქ მოცემულია ისეინვე შემთხვევა, როგორც, მაგ., არაიშვიათად ხმარებული „კახური“ (ლვინო), „შონური“ (ლვინო, ვაზი, ქუდი — მეგრულში) და სხვ.

III

დ ა ს კ ვ ნ პ

გამოკვლევაში მოცემულ სათანადო ცნობებს—ისტორიულ-ლიტერატურული წყაროებიდან, მატერიალური კულტურის ნაშთებიდან და ენობრივი სინამდვილიდან აღებულს თავი რომ მოვუყაროთ, მივიღებთ შემდეგი დასკვნითი ხასიათის დებულებებს:

1 „ხაჯალური || ხაჯალაური“ არის სპეციალური კონსტრუქციის გრძელი ჯაჭვი; მის ერთ-ერთ თავზე მიმაგრებულია ყელზე შემოსაკრავი და კისერზე დასადები. ჩეინისავე მოწყობილობა, რომლის მოძრავ რგოლში უნდა იქნეს გატარებული მთელი ტანჯჭვი, რომ კისერზე შემოკრული და ერთმანეთზე აცმული ნაწილები არ იქნეს დაშლილი; ტანჯაჭვის მეორე თავი ბოლოვდება რგოლით, რომელიც ადამიანის კისერზე ჯაჭვის დადებისა და სათანადო ნაწილების ერთმანეთში გაყრის შემდეგ, გაიტანება გარეთ, ქედელში დატანებული ხვრელის საშუალებით, და იქ გაეყრება ჯოხი, ან დიხე.

2. ჩეინს განკარგულებაში არსებული ურეკევი საბუთების მიხედვით ეს ჯაჭვი, ამავე სახელწოდებით — „ხაჯალური || ხაჯალური“, გამოყენებულია აღამიანის დასასჯელ იარალად დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში — განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში — სამეცნიელოსა (მთავრობისა და მებატონეების მიერ, ყმების მიმართ), აჭარასა (ხელისუფლების, იგივე მებატონეების მიერ) და სამურზაყანო — აფხაზეთში მეცხრამეტე სუკუნის პირველ ნახევარში, ბატონიცების გადავარდნის დრომდე.

3. ქართული სალიტერატურო ძეგლის „ქილილა და დამანა“-ს ერთ-ერთი (C) ვერსიის (საბა-სულხან ორბელიანის რედაქციით ცნობილი, მაშასადამე, იგივე, რაც ნაბეჭდი ვერსია) მიხედვით ეგევა ტერმინი, ცოტაოდენი შეცვლილი სახით — „ხალაჯური“ — პირველად დადასტურებულია მე-18-ე სუკუნის შეორე ათეულის შუალედში და გამოყენებულია, კონტექსტის მართებული გაგებით, როგორც დამნაშეს დასაპატიმრებელი მძიმე ჯაჭვა.

4. ამავე ძეგლის B ვერსიით (ვახტანგის თარგმანი) სათანადო ადგილას ხმარებულია ტერმინი „დადიანური“, რითაც აღნიშნულია თვალსაჩინო კატეგორიულობით იგივე მძიმე ჯაჭვი, დამნაშევის დასპატიმრებლად და კისერზე გადასადებად გამოყენებული.

5. ხოლო სსენებული ძეგლის A ვერსიით (რომლის სათანადო ადგილების სპარსულიღან ქართულ ენაზე გადმოლება მოწყერება ვიღაც ირანელს) შესაფერ ტერმინად მოცემულია „უდრეკელი“, რაც შეესატყვისება (ისე, როგორც ორი დანარჩენიც: ხაჯალური || დადიანური) დედნის „ბანდე გერან“-ს და თითქოს კველაზე უკეთ გამოხატავს ამ უკანასკნელის ორმაგ ბუნებას სპარსულში — ხან ჩეინის იარალად მიღებულს (ბორკოლი), ხან კიდევ ხისად (ურდული), და სხვ.

6. კისერზე დადებით აღამიანთა დასაპატიმრებლად გამოყენებული მძიმე ჯაჭვი „დადიანური“, „ხაჯალური“ ჯაჭვის მსგავსი, ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება მხოლოდ სიგრძით (ის მეტია ჩევუ-

ლებრივი „ხაჯალური“-ს ჯაჭვზე) და ბოლო ნაწილით, რომელიც შოკლებულია ჯოხის გასაყრელ რგოლს.

7. ორივე ტიპის აღნიშნული ჯაჭვები—„ხაჯალური“ და „და-დიანური“—გავრცელებული ყოფილა სამეგრელოში მე-17 საუკუნის პირველი ნახევრიდან მაინც (თუ უფრო ადრე) (სპეციალური სახელ-წოდების გარეშე?).

8. საისტორიო წყაროებისა და სათანადო ეჭვმიუტანელი სა-შუთების უქონლობის გამო, ჯერჯერობით ძნელია განსაზღვრა, თუ რა დროიდან შემოდის სამეგრელოში (და საერთოდ დასავლეთ სა-ქართველოში) ამ ჯაჭვებისათვის განკუთვნილი სპეციალური სახელ-წოდებანი—„ხაჯალური“, „დადიანური“.

9. ამავე სახელწოდებით „ხაჯალური“, „ხაჯალური“ დადასტუ-რებულია ანალოგიურივე ფუნქციისათვის განკუთვნილი, სპეციალუ-რი კონსტრუქციის კისერზე შესაბმელი ხის იარაღი (ულელი), რომე-ლიც მართლმსაჯულების მიერ გამოყენებულია ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალის დასასჯელად იმერეთში (მე-18 საუკ.).

10. დასავლეთ საქართველოს სხევადასხვა კუთხეში (ხსენებული ჯაჭვების მასურად ხმარების რაიონებში—აჭარა, სამეგრელო, სამურ-ზაყნო, აფხაზეთი) არსებულ ენობრივ სინამდვილეზე დაყრდნობით, ამ უკანასკნელის თავისებურებათა დასადგენად წარმოებულ მუშაო-ბის პროცესში უშუალო დაკვირვების შედეგად მიღებული მასალების მიხედვით, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ტერმინი „ხაჯალუ-რი“ // „ხაჯალური“-ს (ეს უკანასკნელი მხოლოდ აჭარაშია შენიშვნული) არსებობა, როგორც ხსენებული ჯაჭვების აღმნაშვნელი სპეციალური სახელწოდება.

11. ლაშხეთში კი ადგილობრივ ქვეიდრთა ცოცხალ მეტყველე-ბაში ხმარებულია ტერმინი „ხაჯაროული“, რომელიც, იმერეთშივე ლოკალიზებული და ილ. ჭყონის მიერ აღნიშნული ცნობის პარალე-ლურად, გამოყენებულია აღმიანთა დასასჯელი ხის იარაღის სახელ-წოდებად და თავისი კონსონანტიშით რამდენიმედ განსხვავებუ-ლია დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში გავრცელებულ ზემომოტანილ ტერმინის სათანადო ბერითი შედგენილობისაგან (მეტათეზისი).

12. პირველი ტერმინი ლინგვისტურად უნდა უკავშირდებოდეს არაბული ენის სამყაროდან მომდინარე ფაქტებს. მეორე-კი წარმო-შობილია ადგილობრივ ნიადაგზე.

18
20
22
24
26
28
30
32
34
36
38
40
42
44
46
48
50
52
54
56
58
60
62
64
66
68
70
72
74
76
78
80
82
84
86
88
90
92
94
96
98
100
102
104
106
108
110
112
114
116
118
120
122
124
126
128
130
132
134
136
138
140
142
144
146
148
150
152
154
156
158
160
162
164
166
168
170
172
174
176
178
180
182
184
186
188
190
192
194
196
198
200
202
204
206
208
210
212
214
216
218
220
222
224
226
228
230
232
234
236
238
240
242
244
246
248
250
252
254
256
258
260
262
264
266
268
270
272
274
276
278
280
282
284
286
288
290
292
294
296
298
300
302
304
306
308
310
312
314
316
318
320
322
324
326
328
330
332
334
336
338
340
342
344
346
348
350
352
354
356
358
360
362
364
366
368
370
372
374
376
378
380
382
384
386
388
390
392
394
396
398
400
402
404
406
408
410
412
414
416
418
420
422
424
426
428
430
432
434
436
438
440
442
444
446
448
450
452
454
456
458
460
462
464
466
468
470
472
474
476
478
480
482
484
486
488
490
492
494
496
498
500
502
504
506
508
510
512
514
516
518
520
522
524
526
528
530
532
534
536
538
540
542
544
546
548
550
552
554
556
558
560
562
564
566
568
570
572
574
576
578
580
582
584
586
588
590
592
594
596
598
600
602
604
606
608
610
612
614
616
618
620
622
624
626
628
630
632
634
636
638
640
642
644
646
648
650
652
654
656
658
660
662
664
666
668
670
672
674
676
678
680
682
684
686
688
690
692
694
696
698
700
702
704
706
708
710
712
714
716
718
720
722
724
726
728
730
732
734
736
738
740
742
744
746
748
750
752
754
756
758
760
762
764
766
768
770
772
774
776
778
780
782
784
786
788
790
792
794
796
798
800
802
804
806
808
810
812
814
816
818
820
822
824
826
828
830
832
834
836
838
840
842
844
846
848
850
852
854
856
858
860
862
864
866
868
870
872
874
876
878
880
882
884
886
888
890
892
894
896
898
900
902
904
906
908
910
912
914
916
918
920
922
924
926
928
930
932
934
936
938
940
942
944
946
948
950
952
954
956
958
960
962
964
966
968
970
972
974
976
978
980
982
984
986
988
990
992
994
996
998
1000